საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 69 (871) | ოთხშაბათი, 27 აპრილი, 1994 წელი | ფასი 5000 კუპონი

მიღება სახელმწიფოს მეთაურთან

25 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში ფერეიდუნ ჰაჯბინი.

საუბარი შეეხო ირანიდან საქართველოსათვის გაზის მოწოდების საკითხს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს ხანში დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის.

ირანის ელჩმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებულია ირანისა და საქართველოს რესპუბლიკების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებით. მან აღნიშნა, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის დარგებში არსებული პოტენციალის გამოყენება და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარება.

• • •

25 აპრილსვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროთათბირის მისიის წარმომადგენლები. საუბარი შეეხო საქართველოში მისიის წარმომადგენელთა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შექმნილ სიტუაციას და მისი მოგვარების პერსპექტივებს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ვ. ნადიბაიძის შესახებ

დაინიშნოს ვარდიკო ნადიბაიძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვარდიკო ნადიბაიძის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვარდიკო ნადიბაიძე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი. 1994 წლის 26 აპრილი.

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური ტრანსპორტის და მისი ავტომატიზებული მართვის სისტემების შექმნისა და ფართოდ დანერგვის სამუშაოთა კომპლექსის შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მთიანი რაიონების ძნელად მისასვლელი ობიექტებისათვის ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური ტრანსპორტისა (საბაგირო, საბაგირო-რელსური, მონორელსური) და მისი ავტომატიზებული მართვის სისტემების კვლევის, დამუშავებისა და ფართოდ დანერგვის სამუშაოთა კომპლექსის შესრულება საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე.

რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი“ ამ პერსპექტიულ მიმართულებას ავითარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გათვალისწინებით, რაც ქმნის სატრანსპორტო პრობლემის ოპტიმალური გადაჭრის შესაძლებლობას და კონვერტირებადი ვალუტის შემოსავლის სტაბილურ წყაროს.

მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლამ მნიშვნელოვანი სიძნელეები შექმნა აღნიშნულ სამუშაოთა კომპლექსის შესრულების საქმეში. სახელმწიფოს აღმშენებლობისა და პერსპექტიული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე:

1. ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკაში 2000 წლამდე სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზებული მართვის სისტემების განვითარების კომპლექსური პროგრამის „სპეცტრანსი — 2000“-ის საფუძველზე დამუშავებული ავტომატიზებული საბაგირო, მონორელსური და საბაგირო-რელსური ტრანსპორტის სისტემების განვითარების სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების („ინტერსპეცტრანსი“), აგრეთვე ანტიკრიზისული პროგრამის „სპეცტრანსი — 96“) სამუშაოთა კომპლექსის შესრულება.

2. დაევალოს „საქსპეცტრანსს“ (შ. ორჯონიკიძე) დაინტერესებული ორგანიზაციების შეკვეთების საფუძველზე და მათი მონაწილეობით განახორციელოს აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, საგარეოეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტებმა და ეროვნულმა ბანკმა განახორციელონ აღნიშნული პროგრამების რეალიზაციის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებანი და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ „საქსპეცტრანსს“ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის საქმეში.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთიანი ქალაქებისა და რაიონების მერიებმა და გამგეობებმა დაინტერესებული სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციების მონაწილეობით მოსახლეობისა და საწარმოთა სატრანსპორტო უზრუნველყოფის მიზნით „საქსპეცტრანსთან“ ურთიერთხელსაყრელი კონტრაქტების საფუძველზე შეიმუშაონ ავტომატიზებული საბაგირო, მონორელსური და საბაგირო-რელსური ტრანსპორტის სისტემების დამუშავებისა და ფართოდ დანერგვის რეგიონული პროგრამები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველწლიურად დაზუსტებულ ინდიკატორულ გეგმებში.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს ამ ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი დადგენილება და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 19 აპრილი.

მხარს უჭერენ მორატორიუმს

პარლამენტის სხდომის დღიური

გენერალ-ლეიტენანტი ვარდენ ნადიბაიძე გახდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ახალი მინისტრი. 56 წლის კადრის სამხედრო მოსამსახურე ამ თანამდებობაზე დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 26 აპრილის პლენარულ სხდომაზე. კენჭისყრას წინ უძღოდა დაახლოებით ორსაათიანი ცხარე დებატები დახურულ კარს მიღმა.

დუშეთის რაიონის მკვიდრი ვარდენ ნადიბაიძე 18 წლის ასაკიდან მსახურობდა ყოფილ საბჭოთა არმიის რიგებში და გაიარა გზა რიგითი ჯარისკაციდან გენერლამდე. წარსულში იგი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე.

ვარდენ ნადიბაიძის კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე წამოაყენა სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ გენერალს პროფესიული არმიის მშენებლობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს.

თავდაცვის ახალმა მინისტრმა ვარდენ ნადიბაიძემ განაცხადა, რომ შეეცდება გაამართლოს პარლამენტის ნდობა და ბოლომდე შეასრულოს ვალი სამშობლოს წინაშე. იგი მზად არის საკუთარი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს ქართული არმიის შექმნას. და თუკი საქართველოს ჩემი სიცოცხლე დასჭირდება, უყოყმანოდ შევწირავ თავს, — თქვა მან.

საღამოს სხდომაზე პარლამენტარმა თამარ ჩხეიძემ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და დეპუტაციის სახელით გააკეთა საპროტესტო განცხადება პარლამენტის წევრის ბორის კაკუბავას მიმართ 22 აპრილს გამოჩენილი ძალადობის თაობაზე. საპროტესტო განცხადება გააკეთა აგრეთვე თვითონ ბორის კაკუბავამ და მოითხოვა მომხდარ ფაქტზე პარლამენტმა რეაგირება მოახდინოს.

სხდომის თავმჯდომარემ, სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე განცხადება სადეპუტატო შეკითხვის სახით პროკურატურას გადაეცემა.

პარლამენტარმა ირინა სარიშვილმა მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განცხადებას 26 მაისისათვის ყოველგვარ მადესტაბილიზებელ აქციაზე ერთგვარი მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე, დააფიქსირა ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატის პოზიცია და პარლამენტის წევრებს გააცნო სამოქალაქო თანხმობისა და ერთიანობის დეკლარაცია.

ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

ერთად თუ ვიქნებით — ქვეყანას კრიზისიდან გამოვიყვანთ!

მართლწესრიგი, სტაბილურობა და აღორძინებული ეკონომიკა გადაარჩენს საქართველოს, გამოიყვანს მას ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან. ამ ჭეშმარიტების დასტურად სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს მოჰყვა რაიონებისა და ქალაქების გამგებლებისა და მერების სხა-ბაასი ქვეყნის გადაუჭრელ პრობლემებზე. თუ პირველთ ევალებათ დაამყარონ ქვეყანაში წესრიგი, მეორეს — აამუშაონ ეკონომიკა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ამ თათბირზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები, რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელები, რეგიონებში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პრივატიზაციისა და განათლების განყოფილებათა გამგეები, რადგანაც ეკონომიკას კრიზისიდან გამოიყვანს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევა.

ოთხ ძირითად მოხსენებაში აირეკლა მწვავე საკითხების ფართო სპექტრი. ესენია — „სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ რესპუბლიკურ თათბირებზე დაყენებული საკითხების შესრულების მდგომარეობისა და რესპუბლიკის რეგიონებში მოსახლეობასა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეხვედრის პირველი ეტაპის შედეგების შესახებ“, რომელიც გააკეთა სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ ფიფიამ. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიმდინარეობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ. „რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის მიმდინარეობის შესახებ“ თათბირის მონაწილეებს ესაუბრა მიწის რესურსებისა და კადასტრის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ გეგეჭკორი. „პედაგოგთა სოციალური უზრუნველყოფის სამთავრობო დადგენილების უზრუნველყოფის შესახებ“ მოხსენება გააკეთა განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი, ავთანდილ მარგიანი, თემურ ბასილია, თამაზ ნადარეიშვილი.

საკითხები იმდენად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო იყო, რომ თათბირზე გამოვიდნენ არა მარტო კამათში წინასწარ ჩაწერილი პირები, არამედ სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელებიც.

მომხსენებლებმაცა და კამათის მონაწილეებმაც წამოჭრეს პრობლემები, რომელთა დროული მოგვარება ააღორძინებს საქართველოს ეკონომიკას.

სახელმწიფოს მეთაურის დავალების შესასრულებლად რეგიონების მართვის სამსახურმა მოაწყო სახელმწიფოს მეთაურის მინისტრთა კაბინეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებისა და სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელების რესპუბლიკის რეგიონებში გასვლა, რომლის მიზანს შეადგენდა მოსახლეობასთან, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეხვედრა, მათთვის ინფორმაციის მიწოდება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ამავე დროს, სამინისტროს ხელმძღვანელები, აპარატის მუშაკები ადგილზე ეცნობოდნენ შექმნილ ვითარებას. ამ შეხვედრებმა ყველა დაარწმუნა, რომ ისინი აუცილებელია, რადგან იძლევა საშუალებას პირველწყაროდან მიიღონ ინფორმაცია. ამ შეხვედრებზე დაისვა 150-ზე მეტი საკითხი. ანალიზმა ცხადყო, რომ საკითხების გადაჭრა ხელს შეუწყობს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანას.

კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების უმრავლესობა ეხებოდა რეგიონების პურპროდუქტებით, ელექტროენერგიითა და საწვავით მომარაგების გაუმჯობესებას. ბევრი წინადადება ოპერატიულად წყდება. მაგალითად, პურპროდუქტების კორპორაციას დაევალა მოემზადებინა წინადადებები მაღალხარისხოვანი ხორბლის შესაძენად კრედიტების გამოყოფის შესახებ. ამასთან, პურპროდუქტების კორპორაცია და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტი შეთანხმდნენ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც სისტემატურად შეისწავლის შესასყიდი და შემოსატანი ხორბლისა და ფქვილის ხარისხს.

შეხვედრებზე მწვავედ გააკრიტიკეს საქენერგოს მუშაობა. რესპუბლიკის რაიონების უმრავლესობა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დიდი შეფერხებით ან საერთოდ არ იღებდა ელექტროენერგიას. შემუშავებული გრაფიკი ირღვეოდა.

მწვავე კამათის საგანი გახდა სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კრედიტების დასაქონლებისა და, საერთოდ, ამ დარგში განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. წინადადებები ბევრი იყო. მაგალითად, დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ სიღნაღის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად უნდა დაინერგოს უპროცენტო სესხის გაცემისა და შემდგომში მისი ნატურით ანაზღაურების პრაქტიკა. დმანისის, ლაგოდეხის, გარდაბნის და ნინოწმინდის რაიონების ხელმძღვანელობამ მოითხოვა სხვადასხვა უწყებებისათვის გადაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბრუნება, ვინაიდან ამ ფართობებს დღევანდელი მეპატრონე ფაქტობრივად არ იყენებს. სასაზღვრო ზოლში მდებარე თითქმის ყველა რაიონმა საკითხი დააყენა თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული მეურნეობების მათთვის გადაცემის თაობაზე. რეგიონების მართვის სამსახურს შეხვედრებზე დასმული საკითხების გადასაწყვეტად სისტემატური კავშირი აქვს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან. სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივი სექტორისათვის გამოყოფილი 400 მილიარდი კუპონი უნდა გამხდარიყო მძლავრი ბერკეტი სოფლის გაძლიერებისათვის. რაიონების ხელმძღვანელები მოითხოვდნენ საწვავის, თესლის, სასუქებისათვის კრედიტები გამოყოფილიყო ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე, რაც საშუალებას მისცემდა მათ რაიონების სოფლის მეურნეობაში არსებული კონკრეტული პირობების შესაბამისად აეთვისებინათ ისინი. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია. ქალაქ რუსთავის დიდი საწარმოების დირექტორებმა კრიტიკულად გააანალიზეს სამთავრობო დონეზე ხელშეკრულებათა მომზადების პრაქტიკა და სურვილი გამოთქვეს, მონაწილეობა მიიღონ ხელშეკრულებათა მომზადებისა და მათი რეალიზაციის საქმეში.

ცენტრალიზებული განაწილების დროს სურსათითა და ზოგიერთი პირველადი მოხმარების საქონლით რესპუბლიკური ვაჭრობის ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ 1989 წლის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით. დღეს რეალური მდგომარეობა 7-10 პროცენტით მეტია და თითოეულ მოსახლეზე განაწილებული პროდუქტის წილი კლებულობს, რაც გაუგებრობას და მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ბევრი რაიკავშირი იძულებულია დოტაციით იმუშაოს, პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების შესაძენი თანხა კი საბანკო სისტემის უნიათო მუშაობის გამო თვეობით „გზაშია“ და სანამ დანიშნულების ადგილს მიაღწევდეს, პროდუქცია ან უკვე გაძვირებულია ინფლაციის გამო, ან ფიზიკურად აღარ არსებობს.

მოსახლეობას ძალიან უჭირს ზოგიერთი სახის პროდუქტების, მაგალითად კომბოსტოს, კარტოფილის, კაკლის, ბადრიჯანის, რაიონის ფარგლებს გარეთ გამოტანა და რეალიზება გზებზე არსებული მძიმე კრიმინალური მდგომარეობის გამო. ზოგიერთ რაიონში კომბოსტოთი და სხვა პროდუქტებით საქონელსაც კი კვებავენ, ვინაიდან გზებზე რაც უფრო მეტი „პიკეტი“ და შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები დგანან, მით მეტი ხარჯია, რასაც ემატება საწვავის უკიდურესი სიძვირე და პროდუქცია ან ვერ აღწევს თბილისამდე, ან უკვე გაორმაგებულ, გასამმაგებულ ფასებში იყიდება.

ბევრი წინადადება დაისვა იმის შესახებ, რომ რაიონის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის 30-40 პროცენტი იყოს რაიონის გამგეობის განკარგულებაში. ეს მათ საშუალებას მისცემს დაამყარონ პირდაპირი კავშირი მეზობელ რაიონებთან, სხვა ქვეყნებთან, აწარმოონ ბარტერული გარიგებანი. საჭიროა მოწესრიგდეს პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანის ლიცენზირების წესი, რომელიც ამჟამად მთლიანად გადაცემული აქვთ შესაბამისი დარგის სამინისტროებს და ფაქტობრივად ისინი მონოპოლისტები არიან. საჭიროა მოგვარდეს ბიუჯეტის შევსების წყაროები. მკაცრად უნდა იქნეს დიფერენცირებული თითოეულ რაიონში ადგილობრივი გადასახადების სახეობები და განაკვეთები.

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხი. რესპუბლიკაში შერჩეულია და მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ხუთი ათასი საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხა. პრივატიზებული ობიექტების ნახევარი ქალაქ თბილისზე მოდის. უკვე მთლიანად პრივატიზებუ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ადამიანი დროში

ყველაფერს აქვს საზღვარი!..

ანუ გულახდილი დიალოგი იმაზე, თუ როგორ დავძლიოთ უმადურობა და სიბეცე, როგორ ვუშველოთ ქვეყანას



ასპა ოდითგან: — როცა სურთ კარგად დაინახონ და შეაფასონ შესაფასებელი, მხატვარ-მოქანდაკენი ფუნჯსა და საჭრეთელს დაანებებენ და შორიდან გახედავენ ხოლმე თავიანთ ნამუშევარს — ამბობენ, ხარვეზებს ასე უფრო ადვილად ვამჩნევთო.

ამას წინათ ჩვენს პარლამენტში „ოთხმხრივი ხელშეკრულების“ ირგვლივ გამართულ ბატალიებს რომ ვუყურებდი, ერთი კითხვა ამეკვიატა: — ნუთუ ჩვენს ზოგიერთ „პოლიტიკოს-პარლამენტარს“ არასოდეს მოსვლია აზრად, რომ ერთხელ მაინც შორიდან შეეხედა საკუთარი თავისა და ნამოქმედარისათვის?

ეტყობა, არა, თორემ იმის შემხედვარენი, რასაც ყოველდღიურად ვუყურებთ, ხომ იკივლებდნენ.. მაგრამ ვიდრე თავად მიხვდებოდნენ, მე ვიტყვი, და თანაც სათაურადაც ასე დავარქმევ ამ წერილს — ყველაფერს აქვს საზღვარი!

კივილით დღეს აბა, ვის გააკვირვებ. უმადურობით კი — ყველას... მოდი და, ნუ იტყვი: — ბოლო წლებში ყველაფერი ხელში შემოგვადნა, დახარხვე-გახაპარტახებული აღარაფერი დაგვრჩა. კარგა ხანია, სხვისი ხელის შემყურენი ვართ, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტს ხან ხორბალზე ვცვლით, ხან გაზსა და კარაქზე, მაგრამ ზოგიერთ ჩვენს პარლამენტარს მადლობის თქმაც კი უჭირს იმათთვის, ვისაც დღეს საქართველოს მხარში უდგას და მისი სატკივარი გაითავისა...

რატომ ხდება ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც კიდევ უფრო ძაბავს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას და აყოვნებს, ამუხრუჭებს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც შეეძლოთ ეხსნათ ქვეყანა გამძაფრებული კრიზისისაგან.

და ბოლოს, როგორ მოჩანს ეს დღევანდელი ბათუმიდან. სწორედ ამით დაიწყო ჩვენი საუბარი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან.

— ბოლო ხანს მართლაც ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოეწყო სახელმწიფოს მეთაურის მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტები, ხელმოწერილია რიგი ხელშეკრულებანი, მათ შორის, „ოთხმხრივი ხელშეკრულებაც“ აფხაზეთის პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხზე, რომელიც ახალი შეხლა-შემოხლის საბაბად იქცა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

— კარგად მესმის, ბატონო ასლან, ეს ის „შაქარი“ არ არის, ჩვენ რომ ხელს გვაძლევდა, მაგრამ...

— მართალი ხართ, ეს არის ის, რის გაკეთებაც არსებული რეალობიდან გამომდინარე შეიძლებოდა ამ ეტაპზე. ახლა მთავარია, როგორ ჩავჭიდებთ ხელს, როგორ გამოვიყენებთ ამ შეთანხმებას. თუ წინა გამოცდილებას გავითვალისწინებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ისეთი სათუთი ხელშეკრულებაა, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიდგომას მოითხოვს. არ უნდა დავუშვათ არც ერთი შეცდომა, რომ არავის მივცეთ მისი ჩაშლის საბაბი, შევძლოთ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. ეს კი ბევრად იქნება დამოკიდებული იმ ვითარებაზეც, რომელიც გვექნება ქვეყნის შიგნით. ამავე დროს, მთავარია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ერთად მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ის მოვლენები, რომლებიც შეიძლება მოხდეს მეზობელ ქვეყნებში: — აზერბაიჯანში, სომხეთში, განსაკუთრებით რუსეთსა და მასში შემავალ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში, რადგან მათ, შესაძლოა, უშუალო გავლენა მოახდინონ ჩვენს პრობლემებზე. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა — ამ ხელშეკრულების სახით გაჩნდა ის ბაზისი, რომელზეც შეგვიძლია ავაგოთ ჩვენთვის საჭირო ზედნაშენი.

ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმებები ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად გამოვიყენოთ, ხშირად საქმისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომით, შეგნებულად თუ შეუგნებლად ვქმნით საგანგებო დაბრკოლებებს, რის შედეგადაც ვერ ვახერხებთ მათ პრაქტიკულ განხორციელებას. რადგან ბევრი დღეს ქვეყნის ბედს თავის გადასახედიდან „ზომავს და ჭრის“.

რაღა შორს წავიდე, პირდაპირ გეტყვით: — სულ ახლახან ბათუმში ჩამოსულმა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ამიერკავკასიაში ჰუმანური ტვირთების გადაზიდვისა და დანიშნულებისამებრ მიტანის საკითხებს აკონტროლებს, გულისტკივილით აღნიშნა: — ასე მითხრეს, ბათუმში ნუ ჩახვალთ, იქ განსაკუთრებულად დაძაბული პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარებააო. შემოწმების შედეგად კი სრულიად საწინააღმდეგო სურათი ვიხილე, აქ შემოსული ტვირთებიდან ხორბლის ერთი მარცვალიც კი არსად დაკარგულა, რის შესახებაც ვაცნობე იმ ინსტანციებს, რომ[illegible] წარმომადგენელიც გახლავ[illegible] აი, როგორ ფონს გვიქმნიან ჩვენივე მოხელეები, როცა პირიქით უნდა იყოს. ცხადია, ამას ხედავენ ჩამოსული სტუმრები, მეგობრებიც და მეთვალყურენიც. ხედავენ და ძალიან უკვირთ. მოდი და აუხსენი მათ ჩვენში ზოგიერთების ურთიერთგაუტანლობისა და ამბიციურობის ამბავი, ისიც, თუ მაინც და მაინც ცუდი რისთვის გამოგვაქვს წინა პლანზე...

სინამდვილეში ჩვენს ქვეყანასაც და ხალხსაც ხომ სულ სხვა თვისებები აქვს.

თვით ტიციანისა და ლეონარდოს შედევრებიც კი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენენ, თუ მათ სათანადო ფონს არ შევუქმნით.

აქედან გამომდინარე, აღარც მიკვირს, როცა ვისმენ ან ვკითხულობ ჩვენი ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის გამოხდომებს.

— ბატონო ასლან, ეტყობა ამ გამოხდომებს რაღაც კონკრეტული მიზანი და მიმართულება აქვს. თქვენ კი რატომღაც ხშირად თავს იკავებთ ხოლმე პასუხისაგან. რატომ?

— კამათს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჭეშმარიტების დადგენა გსურს, მაგრამ როცა დაუსრულებლად ურცხვად მეთითხნილ „ბრალდებებს“ გიყენებენ, შეპასუხება უაზრობად მიმაჩნია. ასეთ შემთხვევაში ჭეშმარიტი არბიტრის როლის შესრულება მხოლოდ საზოგადოებრიობას შეუძლია. ასეც ხდება — მათ ჩვენი ერისა და ქვეყნის მთლიანობის გულშემატკივარი ხალხი უკეთესად პასუხობს; ნიშანდობლივია, რომ მათ შორის უმეტესად არიან ისინი, ვისაც მე საერთოდ არ ვიცნობ.

— მართლაც, ვაკვირდები: ეს გამოხდომები განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენენ მაშინ, როცა ბატონი ედუარდი მორიგი ვიზიტის საგულისხმო შედეგებით დაბრუნდება ხოლმე სამშობლოში. თქვენ რას იტყოდით?

— ჩვენი ზოგიერთი პარლამენტარისა თუ „პარტიული მოღვაწის“ დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურისადმი კარგად არის ცნობილი. ძირითადად ეს ის ხალხია, ვისაც, როგორიანად ჯერ „კენჭიც“ არ გადაუგორებია პოლიტიკაში. ისინი, როგორც ამბობენ ხოლმე, გემიდან პირდაპირ მეჯლისზე, უფრო სწორად, ქუჩიდან უშუალოდ პარლამენტში მოხვდნენ და ნებისმიერი ხერხებით ცდილობენ, როგორმე თავი დაიმკვიდრონ ამ ასპარეზზე. საბედნიეროდ, ეს მცირერიცხოვანი ჯგუფია, თორემ...

— მცირეა, მაგრამ ზოგჯერ ერთ წვეთ კუპრსაც შეუძლია წაახდინოს მთელი კასრი თაფლი...

— მესმის თქვენი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დაგეთანხმებით. თქვენ იცით, საერთოდ არ მჩვევია პრესასთან ე. წ. დიპლომატიური მიდგომ-მოდგომა, ყო[illegible]ვის გულახდილად ვამ[illegible] [illegible]ათქმელს. ეს ის ძალებია, [illegible]ებიც ყველა ხელისუფლე[illegible] [illegible]ებრძოდნენ: — კომუნის[illegible] წინანდელსაც და ახლან[illegible] [illegible] მერწმუნეთ, ასე იქნება [illegible] აბა, რით უნდა და[illegible] [illegible] — ან საქმით უნდა [illegible] ყურადღება, ან ხმაურით, გახსოვთ, ალბათ, თავის

(დასასრული მე-4 გვ.).

მერვე სვეტი

მეცნიერი აგრარიკოსები გვირჩევენ

სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა ბოლო ნამუშევრების პრაქტიკული გამოყენებისათვის რეკომენდაციები გაავრცელა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ. ისინი შეიცავენ რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ მოუარონ მიწას, როგორ დანერგონ ახალი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ყურადღება — ვენახებს

კახეთის რაიონებში გაემგზავრა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი. მიზანია ვენახების მდგომარეობის შემოწმება, მეურნეობების, მევენახეებისადმი დახმარების საჭირო ღონისძიებათა მომზადება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში არიან მთელი რიგი რესურსების, კერძოდ, შაბიამნის, დაავადებებისა და მავნებლებისაგან ვაზის დაცვის სხვა პრეპარატების უკმარისობის გამო.

შეიქმნა საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოება

საქართველოს გეოფიზიკოსთა საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებას, დედამიწის წიაღის, ატმოსფეროსა და დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის ფიზიკის შესწავლის დარგში რესპუბლიკაში წარმოებული სამეცნიერო-პრაქტიკული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში დაფუძნებული ეროვნული გეოფიზიკური საზოგადოება. მისი პირველი პრეზიდენტი გახდა თვალსაჩინო ქართველი გეოფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი თამაზ ჭელიძე.

მიზეზი — ბორნის შეკეთება

შეფერხდა თურქმენეთში საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაგზავნა, რომელიც ამ ქვეყანას ეგზავნება ადგილობრივი ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ. როგორც ცნობილი გახდა, ორი კვირის წინათ საქართველოდან გასული პროდუქციით დატვირთული რკინიგზის შემადგენლობა ვადაზე არ ჩასულა დანიშნულების ადგილას. გამოირკვა, რომ შეფერხების მიზეზი გახდა კასპიის ზღვაზე ბორნის შეკეთება, რომელზეც თურქმენეთში ჩასვლამდე უნდა გაიაროს მატარებელმა.

გუშინ გაიხსნა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის სამართლებრივი და საინფორმაციო პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციაზე ჩამოვიდნენ თანამეგობრობის ყველა წევრი ქვეყნის ბალტიის სახელმწიფოების დელეგაციები, ევროპის გაერთიანების წარმომადგენლები.

კონფერენციას მიესალმნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი და რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდება.

განცხადება

დღეს, 27 აპრილს, 11 საათზე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში იურიდიული კომისია გამართავს პრესკონფერენციას ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.

პარლამენტის პრეს-ცენტრი.

მცირე ბიზნესი საქართველოში

დღეს თბილისის ბიზნეს-სკოლაში გაიხსნა ამერიკა-საქართველოს სამდღიანი სემინარი მცირე ბიზნესის საკითხებზე. მცირე ბიზნესის განვითარება თავისუფალ ბაზარზე ქვეყნის გადასვლის ერთ-ერთი აუცილებელი რგოლია, თქვა სემინარის ორგანიზატორმა ამერიკელმა უორენ ტაუნსენდმა, რომელიც საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკითხთა მრჩეველია. „ეს პირველი სემინარია, ჩვენი პროგრამა 18 თვისათვის არის გათვალისწინებული,— თქვა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ტაუნსენდმა. — ვაპირებთ ყოველ 2-3 თვეში გავმართოთ ფართო მასშტაბის სემინარები, რომლებიც 80 კაცისათვის იქნება გათვალისწინებული, მაგრამ თემებს უკვე დღევანდელი მონაწილეები შემოგვთავაზებენ. კონსულტაციებს კი 5-10 კაცისათვის ჩვენს ოფისში მოვაწყობთ. სემინარის სპონსორია ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტო.

სემინარის მონაწილეებს მიესალმა და სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ბატონმა კენტ ბრაუნმა. მან, კერძოდ, თქვა: „მოხარული ვარ, რომ საქართველოში მზადდება ნიადაგი მცირე ბიზნესის წარმატებით განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მის განვითარებას. ეს მოიზიდავს დასავლელ ინვესტორებს თქვენს ქვეყანაში".

სემინარს გაუძღვებიან ამერიკელი კონსულტანტები, რომლებიც წაიკითხავენ ლექციებს თემებზე: მარკეტინგი, კეშ ფლოუ (ფულის ბრუნვა), ბიზნეს-დაგეგმვა, საბანკო საქმე, დაფინანსება, როგორ ვიპოვოთ მომწოდებელი, როგორ ვიპოვოთ გასაღების ბაზარი და სხვ.

სემინარზე მოწვეული არიან საქართველოს მცირე ბიზნესის საუკეთესო წარმომადგენლები. მეცადინეობა იწარმოებს ინგლისურ ენაზე სინქრონული თარგმანით.

მომავალში ამერიკელი ექსპერტები ჩამოვლენ საქართველოში, რათა შეიმუშაონ რესპუბლიკისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის გეგმა.

ენდი ჟამიერაშვილი.



სურათზე: სემინარს ხსნის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის კრასნოდარის მხარის განყოფილების (ქ. სოჭში) გახსნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობის ახალი ფაზის დაწყებასა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ქალაქ სოჭში გაიხსნა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის კრასნოდარის მხარის განყოფილება. მის უფროსად — რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის უფროსის მოადგილედ დაინიშნა **ომარ გაგოშიძე.**

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკას, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფის სისტემის შესახებ

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის ფორმირების პროცესში სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეცვლასთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფას, როგორც ცხოვრების დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს.

მოქმედმა სააფთიაქო სისტემამ ახალ პირობებში ვერ შეასრულა მისთვის დაკისრებული მოვალეობანი, უხეშად დაირღვა კავშირები წამლების მომწოდებლებთან, ვერ გამოიყენეს რესპუბლიკაში არსებული შესაძლებლობანი, ვერ განახორციელეს სააფთიაქო ქსელის მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებანი. სერიოზული შეფერხებებია სტაციონარების საარსებოდ აუცილებელი პრეპარატებით მომარაგებაში. ვერ დაწესდა სახელმწიფო კონტროლი სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოებასა და რეალიზაციისადმი, თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი გახდა მოქნილი დეცენტრალიზებული სამეურნეო მექანიზმის ფორმირება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება და დაადგინა, რომ გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველო, რეგიონული სააფთიაქო გაერთიანებები, კანტორები, რაიონული ცენტრები.

საომარი მოქმედების ზონაში მოყოლილი დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების დაზიანებულ შენობა-ნაგებობათა აღდგენის სამუშაოების პირველი ეტაპის ღონისძიებათა შესახებ

საომარი მოქმედების ზონაში მოყოლილი დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების სოფლის მეურნეობის ობიექტების, საწარმოების, სოციალური სფეროსა და სხვა დაწესებულებების, სატრანსპორტო და ენერგოშემცველი კომუნიკაციების ამოქმედების სამუშაოთა პირველი ეტაპის ღონისძიებათა დროულად განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის დარგობრივ სამშენებლო პროფილის სამინისტროებსა და უწყებებს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად დაევალათ სპეციალური კომისიების მეშვეობით დაადგინონ საკონფლიქტო სიტუაციების შედეგად მიყენებული ზარალის მოცულობანი, შეიმუშაონ ობიექტების ეტაპობრივი აღდგენის პროგრამა და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ იგი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და ეკონომიკის სამინისტროში.

მიეკუთვნა სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საფორტეპიანო ტრიოს მიეკუთვნა სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი.

საბერძნეთის კონსულის პრესკონფერენცია

თბილისის რეპატრიანტ ბერძენთა მიღებისა და განსახლების ეროვნულ დაწესებულებაში გაიმართა რუსეთის ფედერაციაში საბერძნეთის კონსულის დიონისოს კალამვრეზოსის პრესკონფერენცია. „ბერძენთა დიასპორა საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა შორის, აღნიშნა ბატონმა კალამვრეზოსმა. — საბერძნეთი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე ამბებს, თანაუგრძნობს ქართველ ხალხს, რომელიც მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ჩვენი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მზად არის მორალურად და მატერიალურად დაეხმაროს როგორც საქართველოში მცხოვრებ და [illegible] — ომთან დაკავშირებით მძიმე მდგომარეობაში მოხვედრილ ბერძნებს [illegible] ლტოლვილებს, დაშავებულებს, სხვა გაჭირვებულებს". წინათ გამოგზავნილ ათობით ტონა ჰუმანურ დახმარებას მალე შეემატება კიდევ 600 ტონა სურსათი, ძირითადად ფქვილი, ხორცის კონსერვები, კვერცხის ფხვნილი, რძის ფხვნილი, მაკარონეული, ბავშვთა საზრდო. წინათ საბერძნეთიდან საქართველოში ჩამოვიდა მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის დიდი პარტია, რომელიც თბილისის, სოხუმისა და ჩაქვის საავადმყოფოებს შორის განაწილდა. გასაგზავნად მზადდება მედიკამენტების კიდევ ერთი პარტია.

უპასუხა რა ქართველ და საზღვარგარეთელ ჟურნალისტთა კითხვებს, კონსულმა თქვა, რომ მალე თბილისში გაიხსნება საბერძნეთის საელჩო, ჯერჯერობით კი მუშაობს წარმომადგენლობა.

ერთად თუ ვიქნებით — ქვეყანას კრიზისიდან გამოვიყვანთ!

(დასასრული)

ლია 143 ობიექტი, იჯარის უფლებით გაიყიდა 181. როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, პრივატიზება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ხშირია, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელს ხელს აძლევს ძველებურად მუშაობა — თავს საწარმოს მესაკუთრედ მიიჩნევს და არ ასრულებს სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ კურსს, მათთვის პასუხის მომკითხავი კი ჯერჯერობით არავინ გამოჩნდა.

სამწუხაროდ, არის ფარული პრივატიზაციის ფაქტები. ასეთი ფაქტების გამოვლენისა და შემდგომში მოსალოდნელი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა კომისია პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბატონ თ. ბასილიას თავმჯდომარეობით. ანალოგიური კომისიები უნდა შეიქმნას რესპუბლიკის ყველა რეგიონში. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ პრივატიზაციის პროცესი შეუქცევადია. მარტო წლეულს გათვალისწინებულია საშუალო და მსხვილი საწარმოების 15-20 პროცენტის პრივატიზება. ამასთან, მიმდინარეობს დიდ საწარმოთა აქციონირება.

არანაკლებ დიდი ინტერესი გამოიწვია მიწის რეფორმის პირველი ეტაპის მიმდინარეობის ანალიზმა.

მოსახლეობისათვის ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული მიწებიდან რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები 297 ათასი ოჯახისათვის გამოყოფილია 45 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, ანუ რესპუბლიკის ქალაქად მცხოვრებ ოჯახთა 43 პროცენტს გადაეცა მიწის ნაკვეთი. ეს პროცესი გრძელდება. რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დამთავრებისათვის საჭიროა, 220 ათას ჰექტარამდე ფართობი დამატებით გადაეცეს მოსახლეობას.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპის მიმდინარეობა, მისი დაწყებისათვის შესაბამისი პირობების მოუმზადებლობის გამო, ხასიათდება რიგი სერიოზული ხარვეზებით, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ არ არის აღნიშნული ურთულესი პროცესის განხორციელების აუცილებელი იურიდიული ბაზა, უკიდურესად დაძაბულია საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია.

არის ისეთი დარღვევებიც, როცა ზოგიერთ რაიონში მოსახლეობამ მიიტაცა მრავალწლიანი კულტურების სტაციონარული საცდელი ნაკვეთები, სასელექციო ბაღები. მოსახლეობამ ძალით იგდო ხელთ მიწები, რომლებიც შეადგენდნენ სარეზერვო ფონდს. მეტად მძიმე საკითხია სასაზღვრო დავა რაიონებსა და სოფლებს შორის.

ზოგიერთ რაიონში ვაწყდებით არსებული სამეურნეო და ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის საფუძველზე სარეფორმო მიწის ფონდის დადგენის მოთხოვნის ყოვლად გაუმართლებელ პრაქტიკას, რაც მოსახლეობის უმწვავეს დაპირისპირებას იწვევს.

მიწის პრივატიზაციის პროცესის ნორმალიზაციის მიზნით საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებითაც გაუქმდა პუნქტები მემკვიდრეობისა და საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნის შესახებ, რაც მწვავე წინააღმდეგობებს წარმოშობდა, დამტკიცდა რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სარგებლობაში გადაცემულ ნაკვეთებზე მიღება-ჩაბარების სახელმწიფო აქტის ფორმა, განისაზღვრა მისი გამცემი ორგანიზაციები.

ყველა ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მიწის რეფორმის განხორციელებას.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საერთოდ, რეფორმის გასატარებლად საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ტექნიკური დახმარების კომისიის ჯგუფთან თანამშრომლობით, რომელიც ათი თვის განმავლობაში ამუშავებდა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებებს, მომზადდა და პარლამენტს წარედგინა მიწის რეფორმის შესახებ ისეთი ფუძემდებლური კანონპროექტების პაკეტი, როგორიც არის „სასოფლო-სამეურნეო მიწის სარგებლობის შესახებ", „მიწათსარგებლობისათვის საფასურის შესახებ", „სოფლის თვითმმართველობის საფუძვლების შესახებ", „საადგილმამულო რეფორმის კომისიების შესახებ".

ევროგაერთიანების სპეციალისტებთან ერთად შედგენილია დროებითი კადასტრის დანერგვის სამწლიანი პროგრამა, რომელიც შედგება მიწის, საფინანსო და იურიდიული კადასტრისაგან, და რომლის დაფინანსებისათვის სუბსიდიის სახით ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების ხაზით შესაძლებელია გამოიყოს ოთხი მილიონი ეკიუ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა მიწით სარგებლობისათვის სახელმწიფო გადასახადის დაწესება. როგორც სათანადო გაანგარიშებები მოწმობს, მიწით სარგებლობისათვის გადასახადის დანერგვით ბიუჯეტში ყოველწლიურად ამოღებული იქნება საშუალოდ 36-40 მილიონი ამერიკული დოლარის ტოლფასი თანხა.

ამასთან, მიწით სარგებლობისათვის გადასახადის ამოღების სისტემის დანერგვა ეროვნული ეკონომიკისათვის, საბოლოო ანგარიშით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოაღნიშნული საბიუჯეტო შემოსავლები, მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ისეთი ეკონომიკური ბერკეტია, რომლის შეცვლა მმართველობის სხვა მეთოდებით შეუძლებელია.

ერთი შეხედვით, თითქოსდა რა საერთო უნდა ჰქონდეს ეკონომიკისა და სახალხო განათლების საკითხებს, მაგრამ, როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, ეს მარტო ერთი შეხედვით, ამიტომ ყველა გამომსვლელმა თავის მოვალეობად მიიჩნია ის, რომ მთელი რაიონი ზრუნავდეს მასწავლებლებსა და სკოლაზე. ცხოვრების სიდუხჭირის მიუხედავად, პედაგოგების უმრავლესობა თავის მოვალეობად მიიჩნევს იყოს სკოლაში და აღზარდოს მომავალი თაობა. საზოგადოების მოვალეობაა იზრუნოს მისი ხელფასის გადიდების, საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველა წამოჭრილი საკითხი აყვანილი იქნება კონტროლზე, უყურადღებოდ არ დარჩება.

მოვიდა დრო, როცა ყველა რაიონმა და ქალაქმა უნდა იზრუნოს სტაბილურობისათვის, პასუხისმგებლობა იკისროს, თავის მხრივ კი, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა უნდა შექმნას ისეთი შტაბი, რომელიც გადაჭრის საქართველოს ეკონომიკის წინაშე დასმულ პრობლემებს. ეფექტიანობის ზრდასთან ერთად მინისტრთა კაბინეტმა უნდა იფიქროს აპარატის შემცირებაზე, რომ შტაბი იყოს შემართული და გახდეს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მამოძრავებელი ძალა.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა დადებითი შეფასება მისცა მოსახლეობასთან შეხვედრებს, მისი აზრით, ამან სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს. შეხვედრებში უნდა მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები. ადამიანებმა პირველწყაროდან უნდა მიიღონ ინფორმაცია. ეს შეხვედრები ფართოდ უნდა გაშუქდეს პრესითა და ტელევიზიით.

სახელმწიფოს მეთაურმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო რაიონებში ჩასახლებულ მოქალაქეებზე ზრუნვას. მისი აზრით, ისეთი პირობები უნდა შეუქმნან ახალმოსახლეებს, რომ მათ უკან დაბრუნების აზრი არ დაებადოთ.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო კერძო ბიზნესის განვითარების საკითხს. ბიზნესმენებს დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ, პარლამენტმა მომცა უფლება მოვაწერო ხელი დეკრეტებს და მე მზად ვარ ხელი მოვაწერო კიდეც ყველა დეკრეტს, რომლებიც დაიცავს ბიზნესს საქართველოში. ჩვენ ექსპერიმენტებს ვატარებდით ქვეყანაში, როცა ეს აკრძალული იყო. დღეს კი არხი გახსნილია და საკუთარი ლანდის აღარ უნდა გვეშინოდეს, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი ეკონომიკის აღორძინებისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის აზრით, პრივილეგირებული მდგომარეობა უნდა ეჭიროს სოფლად ინტელიგენციას: სოფლის მასწავლებელს, სოფლის ექიმს. ყველა რაიონში მოიძებნება რესურსები სოფლის ინტელიგენციის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შეეხო რა რაიონში სამართალდამცავი ორგანოებისათვის კადრების შერჩევას, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ამა თუ იმ პირის დანიშვნა ძალაში უნდა შევიდეს, როცა მას გამგებელი დაამტკიცებს. ეს შეუწყობს ხელს, რომ შემთხვევითი ხალხი არ დაინიშნოს პასუხისმგებელ თანამდებობებზე.

თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა დიდი ადგილი დაუთმო პრივატიზაციის საკითხს. მისი აზრით, აქციონირების პროცესი უნდა დაჩქარდეს. ჩვენ კაპიტალს ვხარჯავთ იმის შენახვისათვის, — თქვა მან, — რაც არაფერს გვაძლევს. ყველა წარმოება უნდა ამუშავდეს. რაც შეეხება ფარულ პრივატიზაციას, იგი უდირექტოროდ არ არსებობს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საგადასახადო სისტემის მკვეთრი გაუმჯობესება. როგორც სავალუტო ფონდის, ისე მსოფლიო ბანკის პირველი მოთხოვნაა, საგადასახადო სისტემა ამუშავდეს. ქვეყანა ვერ გადავა საბაზრო ეკონომიკაზე, მისი ბედი განწირული იქნება, თუ საგადასახადო სისტემა არ ფუნქციონირებს. ეს არის ბიუჯეტის შევსების მძლავრი არხი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის საბაჟო სისტემა. მან მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის აღორძინებაში.

შეეხო რა კუპონის საკითხს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ჩვენ თვითონ გამოვუთხარეთ ძირი კუპონს. ღრმად ვარ დარწმუნებული, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ სამანეთო ზონა გამოსავალი არ არის. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ყველა გზა კუპონის გასამაგრებლად.

თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება დაუთმო მიწის რეფორმის საკითხებს. მისი აზრით, სოფლის ინტელიგენცია მასწავლებელი იქნება ის, თუ ექიმი — ერთნაირი მესაკუთრე უნდა გახდეს. მოსახლეობა სოფლისკენ უკვე დაიძრა. თოხი უნდა დაიჭიროს ხელში ყველამ, ვისაც ეს შეუძლია. ორ-სამ წელიწადში უნდა შეიქმნას პროდუქცია, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოსახლეობას. იქ, სადაც შესაძლებელია და სადაც გაამართლა, უნდა შეიქმნას აგროფირმები.

როცა გარკვეულ ძვრებსა და უკეთესობისაკენ მიმავალ ტენდენციებზე ვლაპარაკობ, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — არ შემიძლია არ აღვნიშნო მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა და რწმენა. ერთიანი საქართველო გამოიყვანს ქვეყანას პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, გადაარჩენს დემოკრატიულ საქართველოს.

ადამიანი დროში

ყველაფერს აქვს საზღვარი!..

ანუ გულახდილი დიალოგი იმაზე, თუ როგორ დავძლიოთ უმადურობა და სიბეცე, როგორ ვუშველოთ ქვეყანას

(დასასრული)

დროზე რა აღარ დააბრალეს მათ აჭარის ხელისუფლებას, როცა ჩვენ ერთიანობის, მთლიანობის მაგალითს ვიძლეოდით და ამ ურთულეს კუთხეში დიდი ძალისხმევით შევინარჩუნეთ სიმშვიდე, წესრიგი და აღმშენებლობას მივყავით ხელი.

მაგრამ, ხომ ფაქტია: პარლამენტის დიდი ნაწილი არ აჰყვა პროვოკაციებს და გამოამჟღავნა მისწრაფება ღრმად ჩასწვდომოდა ჩვენთან მიმდინარე პროცესებს, მიეღო სრულფასოვანი, ობიექტური ინფორმაცია. უფრო მეტიც, ბევრმა მათგანმა შეძლო უშუალოდ ჩამოსულიყო აჭარაში და საკუთარი თვალით ენახა ყოველივე ის, რაც აქ ხდებოდა.

გავიხსენოთ ერთი ე. წ. საკვანძო საკითხი: როგორც იცით, ხელისუფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, ჩაწერილია რომ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, თუ ის არჩეულია რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატად, იმავდროულად იკავებს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს. მაშინ, როცა გასაგები მიზეზების გამო ფაქტობრივად წყდებოდა მხოლოდ აჭარისა და მისი ხელმძღვანელის სტატუსის საკითხი — პარლამენტის 222 დეპუტატიდან 186-მა, ე. ი. მთელი შემადგენლობის 90 პროცენტმა, მხარი დაუჭირა ამ კანონს.

ეს არ იყო მხოლოდ ჩემი მხარდაჭერა, ეს სახელმწიფოებრივი სიბრძნის გამოხატულებაც იყო.

ასე რომ, თუ დღეს აჭარაში მშვიდობა და წესრიგია, ამაში პარლამენტის უმრავლესობის დიდი დამსახურებაც არის.

ცხადია, ზოგს აღიზიანებს კიდეც, როცა ჩვენი ურთიერთობა ასეთი კალაპოტით მიემართება, ამიტომაც მავანს ხელს არ აძლევს დაწყნარებული, მშვიდი ატმოსფერო, რადგან ქაოსი და არეულობა მას ეხმარება, საკუთარი ინტერესები დაიკმაყოფილოს. ასე რომ, ის გამოხდომები, ბატონ ედუარდის მიმართ, რომელთა შესახებაც თქვენ ამბობთ, მართლაც არ არის შემთხვევითი. რაც უფრო წარმატებული იქნება სახელმწიფოს მეთაურის მორიგი ვიზიტი, მით უფრო მძაფრი იქნება მათი წინააღმდეგობა და უზნეო სვლები.

— **როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ დაპირისპირებას. ისინი ხომ რაღაც კონკრეტულ მიზანს ისახავენ?**

— რა თქმა უნდა... ისინი ცდილობენ თავიანთი მოქმედებით მსოფლიო თანამეგობრობის თვალში შექმნან არასტაბილური პარლამენტისა და სახელმწიფო მექანიზმის სურათი, რაც თავისთავად ამუხრუჭებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უფრო აქტიურ მხარდაჭერას საქართველოსადმი. მართალია ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები იღებენ საქართველოსათვის სათანადო დახმარების გაწევის გადაწყვეტილებებს, მაგრამ იქაც ხომ არიან ძალები, რომლებსაც ამ გადაწყვეტილებების საპირისპირო აზრი აქვთ? ასეთი დამოკიდებულება და ქმედება ვერაფერს აკლებს პირადად სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტს ერთი უბრალო მიზეზის გამო, აქ სხვადასხვა დონესთან, სპორტული ენით რომ ვთქვათ, სხვადასხვა წონით კატეგორიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს უთუოდ დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ინტერესებს.

მე პროფესიული კრივის მოყვარული ვარ და აქედან გამომდინარე ვურჩევ ე. წ. მოყვარულ „მხატვებს", („მუხებს") მოეშვან მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივესთან რინგზე თამაშ, თორემ ხომ შეიძლება ეს ერთხელაც ღრმა ნოკაუტით დამთავრდეს და...

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ხომ ხმათა უმრავლესობით არჩეულ პრეზიდენტს ერი პატივს სცემს და მიჰყვება. ამას ისინი მოქალაქეობრივ ღირსებად და ვალდებულებად მიიჩნევენ; მათ გვერდით ისინიც დგებიან, ვინც არჩევნებში მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტს. ეს მაღალი ზნეობისა და კულტურის გამომხატველი ფაქტორია. ჩვენ კი ამ მხრივ ჯერჯერობით ორივე ფეხით მოვიკოჭლებთ.

— **ბატონო ასლან, თქვენ სპორტული ტერმინი — წონითი კატეგორიები ახსენეთ... კარგად მესმის აქ რა პარამეტრებზეც არის საუბარი. რაკი თავად ბრძანეთ, ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ: — ხომ შეიძლება თქვენც, რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს გაგიჩნდეთ რაღაც განსხვავებული აზრი, შეხედულება კონკრეტულ საკითხზე, მითხარით, თქვენ დიპლომატობთ თუ პირდაპირ ეუბნებით ხოლმე სათქმელს სახელმწიფოს მეთაურს?**

— რთულ პრობლემებზე ყოველთვის პირდაპირ ვეუბნები. მუდამ პრინციპულად, გაშიშვლებულად ვაყენებ საკითხს, რადგან საქმე ეხება ქვეყნის მეთაურთან ჩემს ურთიერთობას. სახელმწიფოს მეთაურმა კი მხოლოდ სიმართლე უნდა იცოდეს, თუგინდ არასასიამოვნოც. ამ შემთხვევაში დიპლომატია, მით უმეტეს, მაამებლობა დანაშაულის ტოლფასოვნად მიმაჩნია, როგორც ქვეყნის, ასევე თავად სახელმწიფოს მეთაურის მიმართ.

— **გთხოვთ ისიც თქვათ: — ამ შემთხვევაში თქვენ რომელ წონით კატეგორიაში გამოდიხართ და არღვევთ თუ არა იმ პრინციპს, რომლის შესახებაც ადრე ბრძანებდით.**

— რა თქმა უნდა, არ ვარღვევ. რადგან ჯერ ერთი, ზოგიერთებისაგან განსხვავებით მე ვიცი ჩემი ადგილი, მეორეც, მე აქ მოწინააღმდეგის პოზიციაზე კი არ ვდგავარ, არამედ იმ სეკუნდანტის ადგილზე ვარ, რომელიც რაუნდებს შორის მის მიერ დანახული კუთხიდან ცდილობს მოაწოდოს მინიშნება მოქმედების სუსტ და ძლიერ ნიუანსებზე.

— **ბატონო ასლან, ჩვენ ადრეც გვისაუბრია იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ, უფრო სწორად, როგორ ვერ ვიყენებთ შევარდნაძის ფაქტორს. მაგრამ არაფერი გვითქვამს იმ უმადურობაზე, რომელსაც ზოგიერთი იჩენს სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. თქვენ რას იტყოდით?**

— უმადურობა ჩვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ: რაღაც განსაკუთრებული უნდობლობის, შურისა და გაუტანლობის გრძნობა გვახასიათებს ერთმანეთისადმი. რატომღაც უპირველესად არ ვინდობთ ერის გამორჩეულ ადამიანებს. მაგალითი სამწუხაროდ, ბევრი გვაქვს, კვლავ გავიხსენოთ:

რუსთაველი ქვეყნიდან გავაძევეთ და დღესაც არ ვიცით რა ბედი ეწია, სად და როგორ დალია სული. დღემდე კი მის სახელს ვართ ამოფარებული.

ერის სათაყვანებელი თამარ-დედოფალი საიდუმლოდ დავმარხეთ ისე, რომ საფლავიც არ ვიცით. დამმარხველნიც ზედ წავაკალით, ალბათ იმისათვის, რომ ვინმეს მისი საფლავი არ ამოეთხარა და შეებღალა.

უსპეტაკესი სულხან-საბა, საქართველოს გადამრჩენის ძებნაში, მსოფლიო რკინის ქალამნით რომ შემოიარა, სვეტიცხოვლის წინ წვერით ვათრიეთ...

სულმნათი ილია, — ერის მამა, — მტრისათვის სასროლი ტყვიით მეუღლეს ხელში ჩავკალით. იმ ხალხმა, საქვეყნოდ რაინდობით, რომ მოგვეჭრა თავი.

ასე იყო დასაბამიდან და ასეა ახლაც... რატომ გვიკვირს?

— **მაშ, არ ყოფილა ჩვენი საშველი?**

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. იმასთან ერთად, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ერთი ფაქტორიც არსებობს — ჩვენი ერის უზარმაზარი პოტენცია. თითოეულ კაცში უდიდესი ენერგიაა ჩადებული. სწორედ ამ პოტენციის სწორად, მიზნობრივად გამოყენებაა საჭირო, რომ შედეგი მოგვცეს. ამისათვის კი კანონის უზენაესობა, უფრო მეტიც, — კანონის დიქტატურა უნდა დავამკვიდროთ. სხვაგვარად ვერ ვუშველით ქვეყანას. ეს მხოლოდ ურთიერთნდობით შეკავშირებულ თანამებრძოლთა ძლიერ გუნდს შეუძლია. თუ ეს დიდი ენერგია ერის საკეთილდღეოდ ვერ წარვმართეთ, იგი გახლეჩილი ატომგულის ტოლფასი ძალით დაანგრევს ჩვენს ქვეყანას.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველ კაცს, ჰამურაბიდან დღემდე, დაწერილ ვერც ერთ კანონს ვერ მოაწონებ. ნება რომ მისცე, ის თვით ამერიკის კონსტიტუციასაც კი ისე უმოწყალოდ დაჩეხავს, თვით მამაზეციერიც ველარ იცნობს.

— **ბატონო ასლან, ეტყობა, ესეც ქართული ხასიათიდან გამომდინარეობს, თორემ ზოგიერთი უმადური როგორ ვერ დაინახავდა იმას, თუ ძირითადად ვისი ავტორიტეტით ცხოვრობს დღეს საქართველო?**

— ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოსათვის კრედიტების გამოყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება და ბევრი სხვა სიკეთე სახელმწიფოს მეთაურის სახელთან რომ არის დაკავშირებული, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ, ხომ ხედავთ, ზოგიერთი პარლამენტარი მაინც წამოსძახებს ხოლმე: — მერე რა, ასე სხვა ქვეყნებსაც ეხმარებიანო.

ის, რასაც დღეს სახელმწიფოს მეთაური ამ მიმართულებით აკეთებს, უაღრესად მნიშვნელოვანია, ამასთან ერთად, მარტო ჰუმანური დახმარება, სესხები და სხვა, ცხადია, ვერ იქნება, და შეუძლებელია ქვეყნისათვის საკმარისი იყოს. მაგრამ იგი ჩვენთვის დღეს ჰაერივით საჭიროა, ხელი რომ შეგვეწყოს იმაში, რომ დავიწყოთ შრომა, პარალელურად ავამოქმედოთ საკუთარი შესაძლებლობები, ეროვნული პოტენციალი.

სხვა ადგილიდან მოტანილი წყლით წისქვილს ვერ აამუშავებთო — მეუბნებოდა ამას წინათ ერთი მაღალი რანგის საზღვარგარეთელი მოხელე და მართალიც იყო.

როცა სახელმწიფოს მეთაურისაგან შეუძლებელს ვითხოვთ, მაშინ მოვალე ვართ ისიც ვიცოდეთ, თუ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით რა ადგილი გვიჭირავს მსოფლიო თანამეგობრობაში.

ავიღოთ ისეთი გიგანტი, როგორიც რუსეთია. გაიხსენეთ, თითქმის მთელი წელიწადი დასჭირდა დებატებს იმაზე, რომ ქვეყნებს, რომელთა სტრატეგიულ ინტერესებში შედის ზრუნვა რუსეთში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისა და მსოფლიოს სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, გამოეყოთ მისთვის მილიარდნახევარი კრედიტის სახით, როცა ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მეზობელ მექსიკას ე. წ. შიდა პრობლემების მოსაგვარებლად, თვალის ერთ დახამხამებაში დაუბრკოლებლად მისცეს ოთხჯერ მეტი კრედიტი. ვფიქრობ, კომენტარი აქ საჭირო არ არის.

იმის დაუნახაობა კი, რასაც დღეს მსოფლიო თანამეგობრობა აკეთებს შედარებით პატარა საქართველოსათვის, მისი გადარჩენისათვის მარტო უმადურობა კი არა, უზნეობაც არის. ზოგს კი ეცოტავება და ამას ზოგჯერ ხმამაღლა აცხადებს კიდეც. მინდა ასეთ ხალხს ვკითხო, თავისი მოღვაწეობის პერიოდში რა გაუკეთებია, თუნდაც იმის მეასედი მაინც, რაც ამ მხრივ დღეს კეთდება? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მარტო თანამდებობითა და „სავარძლით" მოდის, მთავარი ის არის თუ ვინ ზის ამ სავარძელში. აქ მნიშვნელობა არა აქვს, მოგწონს იგი შენ თუ არა.

— **ბატონო ასლან, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმ როლზე, რომელსაც აჭარა ასრულებს დღევანდელი საქართველოს მთლიანობისათვის. ჩვენთან საყოველთაო სიმშვიდის, წესრიგის, აღმშენებლობითი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის. მოდით, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის დღევანდელ მდგომარეობას, პრობლემებს. ჯერ კიდევ დიდი ილიას დროიდან იყო ასე: — ხან დაიძაბებოდა, ხანაც შერბილდებოდა ეს ურთიერთობანი. შეიძლება პარადოქსულიც იყოს, მაგრამ ზოგჯერ ახლაც ასეა. თქვენ როგორ შეაფასებდით დღევანდელ ურთიერთობებს?**

— ჩვენი პოზიცია ყოველთვის ურყევი იყო. ჩვენ მხარში ვუდგავართ ცენტრალურ ხელისუფლებას და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შევქმნათ სათანადო პირობები ამ თანადგომისათვის. მაგრამ ეს ზოგიერთს ხელს არ აძლევს. ის ძალები კი, რომლებიც დროდადრო წამოყოფენ ხოლმე თავს, არაფერს თაკილობენ. ასეთ დროს ფსევდოპოლიტიკურ დემაგოგიასთან ერთად საქმეში ერევა ე. წ. რელიგიური, კუთხური პრობლემები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო რეალურ ვითარებასთან და მხოლოდ გარკვეული ადამიანების პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობენ.

ასეთი პროვოკაციების აღმოფხვრა და შეჩერება ერთი ხელის დაკვრით შეიძლება, მაგრამ, ვიმეორებ, ეს ვერ ხერხდება მანამდე, ვიდრე ერთ ძალად, თანამზრახველთა ერთ გუნდად არ არის შეკრული მთელი სახელმწიფო აპარატი. ზოგჯერ პირიქითაც ხდება — სახელმწიფო სტრუქტურების ზოგიერთი წარმომადგენელი თავად უწყობს ხელს ამ ურთიერთობების დაძაბვას და ხშირად მიზანმიმართულად მართავს კიდეც მათ.

— **ალბათ გაქვთ ამის დამადასტურებელი ფაქტები?**

— რა თქმა უნდა. თავად განსაჯეთ: როგორც კი დადგება პასუხისმგებლობის საკითხი, იმათ ვინც ვერ ჩაება საერთო ფერხულში, ვერ აჰყვა აჭარაში დამკვიდრებულ მოთხოვნებს და თვითდამკვიდრებისათვის ორმაგ თამაშსა და დესტაბილიზაციის კერების შექმნას მიჰყო ხელი, ხელად გამოუჩნდება ხოლმე „პატრონი" ცენტრიდან. საქმე, როგორც წესი, ასე მთავრდება: — განსაკუთრებული საფუძვლით განთავისუფლებული კაცი იმავე დღესვე მიჰყავთ და შესაბამის ცენტრალურ აპარატში აწინაურებენ. ხომ გაგიგონიათ: — ძაღლი შინ არ ვარგოდა, მეზობელთან გარბოდაო. უფრო მეტსაც ვიტყვი: საქართველოში ჩემი არყოფნის დროს ციხიდანაც კი გამოუყვანიათ მსჯავრდადებული, სერიოზული პოსტი ჩაუბარებიათ და ჩინმედლებითაც „დაუმშვენებიათ".

პარალელურად მავანნი, რამდენადაც ეს ხელეწიფებათ, აჭარას ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევენ და ყველა საშუალებით ცდილობენ მისი ხელისუფლების დისკრედიტაციას, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ახლახან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკაში სქელტანიანი წიგნი გამოდის საქართველოს შესახებ, რომლის ავტორი იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ყოფილა. მას პირადად არ ვიცნობდი. რამდენ გაოგნებული დავრჩი, აპრილის შუა რიცხვებში პირველ სატელეფონო საუბარში, როცა რამდენიმე ინფორმაციის მიწოდება გვთხოვა, გაოცება ვერ დამალა იმის შესახებ, რომ მას ორჯერ დაურეკეს საქართველოდან და დაბეჯითებით სთხოვეს: — არ შეცდეთ, აჭარისა და ასლან აბაშიძის შესახებ არაფერი დაწეროთ, თანაც თხოვნა სათანადო „არგუმენტებითაც" გაამაგრეს — თურმე აჭარაში დიქტატურაა დამყარებული, ცენტრალურ ხელისუფლებას უპირისპირდება და კიდევ სხვა რამდენი...

დარწმუნებული ვარ, ალბათ, თავად ეს ავტორი ისევ ჩვენი გაუტანლობის გამო გადახვეწილი უცხოეთში, რადგან ამ „კეთილმოსურნის", როგორც მას თავის თავისთვის უწოდებია, „რჩევებით" კი არა, იმით გაოცებულა ჩემი სახლის ტელეფონი საიდან გაიგოო?!

ეს კიდევ არაფერია, სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოში მაგრად „დამოძღვრილმა" და დაფინანსებულმა ერთმა კალმოსანმა ჩემს საწინააღმდეგოდ ცილისწამებისა და სიყალბის ისეთი კასკადი შექმნა, რომ გებელსის პროპაგანდისტული მანქანის შედევრები მასთან შედარებით მონაგონია.

რა უნდა დავარქვათ ამას, გამონაკლისი?

არა, ეს გამონაკლისი არ არის, სისტემაა, რადგან უამრავ ფაქტთან გვაქვს საქმე, რომელიც უკვე მიზანმიმართულ პოლიტიკად იქცა.

ეს კი ახალ-ახალ დამატებით პრობლემებს უქმნის ქვეყანას.

აი სად ჩნდება ბზარი, სად იმალება სწორედ ის უნდობლობის „ძაღლის თავი", რომელიც ძაბავს ხოლმე ურთიერთობებს ცენტრსა და რეგიონს შორის. არსებობს ე. წ. „შეუთავსებლობის" პრობლემაც. ერთის მხრივ — ცენტრალურ აპარატში, მეორეს მხრივ — რეგიონში მომუშავე პიროვნებებს შორის. მაგრამ, როცა საქმე გვაქვს ისეთი დონის ადამიანებთან, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოებრივი საზომით უდგებიან საქმეს, პრობლემები არ არსებობს... როცა პირადული სჭარბობს სახელმწიფოებრივ სიბრძნეს, მაშინ კი...

ახლა რაც შეეხება აჭარისადმი ჩვენი პრესის დამოკიდებულებას. კრიტიკასა და ლანძღვა-გინებაზე არაფერს ვიტყვი, რადგან იგი ბოლო ხანს თანდათანობით ნელდება. ბევრი გულთბილი წერილი იბეჭდება ამ თემაზე, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ [illegible] სითბოსთან ერთად რაღაც ეჭვი მაინც არ ასვენებს ზოგიერთ ავტორს. არ ვიცი რატომ ხდება ეს, როცა ბევრმა ჩვენმა მოღვაწემ არაერთხელ აღნიშნა: — დღეს აჭარაზე ყველანი სანთლებს უნდა ვანთებდეთ, რადგან მან საქართველო საბოლოო გაპარტახებისაგან იხსნაო, თუ ვინმეს მართლაც ჰგონია, რომ ჩვენი მოქმედებით მხოლოდ აჭარას ვიცავდით იმ ქაოსისა და უბედურებისაგან, რამაც სამშობლო გაგვიპარტახა, ძალიან ცდება. ასე რომ, დღეს აჭარას აქეთ სჭირდება ცენტრის განსაკუთრებული თანადგომა, რათა თუგინდ ის მცირე სიკეთე, რომელიც აქ არსებობს, მთელი საქართველოს კუთვნილებად ვაქციოთ. ამისათვის უნდა მოისპოს ე. წ. ინფორმაციული ვაკუუმი, ხალხმა უნდა იცოდეს ის, თუ რა კეთდება ამ მხრივ აჭარაში. ამის არ უნდა გვეშინოდეს. უნდა მოგვეცეს საშუალება ჩვენთვის გამოყოფილი სატელევიზიო არხით ეს მასალები მთელ საქართველოს გადმოვცეთ. დროულად უნდა მოიხსნას ყველა დაბრკოლება, უწესრიგობა, რაც ხელს უშლის დღეს აჭარაში საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს პროგრამების მიღებას, რა მიზეზითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული. დროულად უნდა გადაწყდეს ბათუმში ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი, თუ გვინდა ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას.

პირდაპირ ვიტყვი: აქამდე ბევრს ვითმენდით, რომ, რაღაც დაძაბულობის დამატებითი ელემენტი არ შემატებოდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ მომავალში იმის მოთმენა, რაც აქამდე ხდებოდა, შეუძლებელი იქნება. ნებისმიერ ხელშეშლას, საკითხის გადაწყვეტის დაყოვნებას, საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომას, ერის კეთილდღეობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩავთვლით, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ სათქმელი არაფერი გვაქვს... ნურც ის დაავიწყდებათ, რომ საკითხის დაყენებასთან ერთად კონსტიტუციურად კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მოთხოვნის უფლებაც გვაქვს და ამ უფლებას პრინციპულად გამოვიყენებთ.

ეს ჩემი შეუვალი პოზიციაა, რადგან იგი ერისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან არის დაკავშირებული.

მართლაც, ყველაფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი?

ყველა ჩვენგანს დღეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია და მოვალენი ვართ ღირსეულად ვატაროთ ეს ტვირთი. უმოქმედობასა და საქმის შეუსრულებლობას ვერავის გადავაბრალებთ.

ასეთ დროს ისტორია მიზეზებს არ ეძებს. ამიტომაც შეცდომებს არავის აპატიებს. მათ შორის მ

გია ჭელი

„სრ" აჭარის ბიუ

ქ. ბათუმი.

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

7. შევარდნაძე რომ ყოფილიყო...

> რომ აწონილიყო ჩემი წუხილი და ჩემი ტანჯვა და ერთბაშად დადებულიყო სასწორზე, ახლა ზღვის ქვიშაზე უფრო მძიმე იქნებოდა; ამიტომაც სიმწრით არის სავსე ჩემი სიტყვები.
>
> იობი, 6,2-3.

შუა საუბარში გენადი ფიცხელაურმა სამი განცხადება გააკეთა:

— პირველი. გასული მარტის ბოლოს ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც ჩემს ჩეჩნებს იმოწმებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს მეთაურს თითქოს ეთქვას, ბრძოლას აზრი აღარა აქვსო.

ჯერ ერთი, ჩეჩნება არავისთვის მომიცია. მეორეც ის, რომ გურამ ჯანიაშვილს არც უთქვამს და არც შეეძლო ასეთი რამის თქმა. პირიქით, მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ სწორედ რომ საწინააღმდეგო დაამტკიცა. ვიღაცა „ავდანელთა" დისკრედიტირებით არის დაინტერესებული, ალბათ.

მეორე. გაზეთებში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ჟიული შარტავა ჩეჩნებმა მოკლეს. ასე განუცხადებია აფხაზ ბოევიკს ვახტანგ კობახიას.

ერთი თვე სოხუმში ჩეჩნებთან ვიყავი და არავისგან მინიშნებითაც მსგავსი არაფერი მსმენია. როგორც ვატყობ, ამ ინფორმაციის გავრცელებაც ვიღაცას ხელს აძლევს: საკუთარი დანაშაულის კვალის დაფარვას ცდილობს.

მესამე. „ავდანელთა" ბატალიონის ბიჭებმა, ვინც ბოლოს და ბოლოს იმ ჯოჯოხეთს თავი დააღწია, მთხოვეს თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ჩვენი თანამებრძოლების გვარები, რომლებიც შინ ვერ დაბრუნდნენ, ჯერჯერობით მაინც. ისინი გმირულად იბრძოდნენ და მათ უნდა იცნობდეს ხალხი.

აი, ისინი:

ბადრი ბერუაშვილი, გია დოლიაშვილი, გოჩა თათრიშვილი, გია ქათამაძე, ვასილ კობაური, ბესიკ სოფრომაძე, ლევან ბერაძე, მერაბ ნიქაბაძე, ომარ გოგოლაშვილი, ნოდარ ხაბიაშვილი, თემურ ჯორბენაძე, მიშა ავალიშვილი, ნუგზარ ჰუბულაშვილი, გოჩა ნარიმანიძე, თამაზ პაპიაშვილი, ზურაბ დოლბორჯგინიძე, ჯენერ ჯეჯეიშვილი, გოჩა მაჩაიძე, ჯემალ (ივანე) ქიზიაშვილი, დავით ზურაბაშვილი, გოჩა გოჩიაშვილი, ხვიჩა შალვაშვილი, თემურ ირემაშვილი, გიორგი ქავთარაძე, კახა ბოსიკაშვილი.

* * *

სოხუმში, ჩეჩნებთან გენადი ფიცხელაურს იმდენი რამ გადახდა, ცალკე პუბლიკაციის ღირსია. ალბათ, მოგვეცემა ამის საშუალება. ახლა რამდენიმე ეპიზოდით შემოვიფარგლებით.

მკითხველს, ასე თუ ისე, წარმოდგენა რომ ჰქონდეს, ვისთან იმყოფებოდა გენადი, როგორც შევთანხმდით, მხოლოდ მიახლოებით ორიენტირებს დავუსახელებ.

თქმა არ უნდა, რომ ეს ჩეჩნები იყვნენ ბოევიკები, რომლებიც სრულიადაც არ იქცეოდნენ, როგორც იდეისათვის მებრძოლები. მოხალისეები იყვნენ თუ დაქირავებულები, ეს გენადის არ დაუზუსტებია; ისინიც გაურბოდნენ ამ თემაზე საუბარს.

ბრძოლებსა თუ დამსჯელ ოპერაციებში არ მონაწილეობდნენ, ოჯახებში კი დადიოდნენ. ალაფისთვის, ცხადია.

გენადის „სტატუსი" ამ ჯგუფში იყო სამხედრო ტყვე, ოღონდ შეიარაღებული მათი თანამონაწილე. მიმართავდნენ — Брат! (ძმაო).

— მოკრივე თავისი ჩეჩნებით და მეც მათთან ერთად დავბინავდით სემირჯიევის ქუჩაზე, სამუშიების სახლში. ადრე პრესტიჟული უბანი იყო, — მიყვება გენადი, — მამა-შვილი სამუშიები აფხაზებს აქვთ, იზოში დაუხვრეტიათ, ცოლ-შვილი გაქცეულა და, როგორც ლტოლვილები, სადღაც იყვნენ შეხიზნულები.

მაგომედა შემარქვეს, გვარიც — მაგომედოვი. თუმცა ეს არავითარი კონსპირაცია არ იყო, რადგან აფხაზები მცნობდნენ, იცოდნენ, რომ ქართველი ვიყავი, მაგრამ ჩეჩნების შიშით უბატონოდ ხმას ვინ გამცემდა! არც ჩეჩნები მალავდნენ ჩემს სადაურობას. ერთადერთი, რაც კატეგორიულად ამიკრძალა მოკრივემ — არსად წამოგცდეს, რომ მინისტრთა საბჭოს შენობაში იბრძოდი, თორემ მერე ვეღარ დაგეხმარებით.

წამოსვლის დროს საბუთებიც ამ გვარზე გამიფორმეს. მაგრამ ეს ერთი თვის მერე მოხდა.

იქამდე, არ დაგიმალავთ, ბევრ „ოპერაციაში" მივიღე მონაწილეობა. ქართველებისთვის მოპარულ-წართმეული მანქანები ბევრი წავართვით იქაურ ბოევიკებს, განსაკუთრებით სომხებს. ჩეჩნებმა გაიტანეს. და საერთოდ, მანქანა თუ ავეჯი, ჭურჭელი თუ ტანსაცმელი გაზიდა და გაიზიდა სოხუმიდან. ყველა ყაჩაღობდა და ყველას ქურდავდნენ. განუკითხავად იკავებდნენ ბინებს, სახლებს. რამდენჯერ შეტაკებიან ჩეჩნები, აფხაზები, სომხები ერთმანეთს სახლების დასაკუთრების დროს. მოვიდოდნენ, ვთქვათ, სომეხი ბოევიკები, მოეწონებოდათ სახლი, შეიჭრებოდნენ. გამოჩნდებოდნენ აფხაზები და იმათ გააგდებდნენ. ან პირიქით. ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ იმავე ღამეს განაწყენებული მხარე იმ სახლს ცეცხლს წაუკიდებდა და დაწვავდა. ვინ ჩააქრობდა, ან სად იყო წყალი!

ისე რომ, ნურავინ წარმოიდგენს, თითქოს იქ მართლაც აფხაზების თავისუფლებისთვის თავგანწირულად მებრძოლი ინტერნაციონალისტების არმია გვიომებდა.

ერთსულოვნება იყო იმაში, თუ ვინ რამდენს მოიტაცებდა და მოიპარავდა.

ჩვენი ჯგუფიც არ გახლდათ გამონაკლისი, მაგრამ ქართველებისთვის რაღაც სასარგებლო მაინც გავაკეთეთ. არ გეტყვით, რომ ჩეჩნების ქონებას ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ თუ ქართველების ოჯახში აღმოვჩნდებოდით (დრანდაში, მერხეულში, მაგალითად) წერილებს ვუტოვებდი პატრონებს, თითო წინადადებას: Эта семья чеченские друзья. და ხელს ვაწერდი — Исмаил.

ერთი-ორჯერ მოვიკითხე, შედეგი თუ მოჰქონდა რამე ამ ბარათებს. მითხრეს — კიო, და მერე უფრო გულმოცემულად ვწერდი. რამდენიმე ოჯახის კარებზეც კი წავაწერეთ სალებავით — ჩეჩნების მეგობრები ცხოვრობენ აქ.

ეს, არც თუ იშვიათად, იმ ოჯახების წევრების სიცოცხლის გადარჩენას უდრიდა.

ჩეჩნებისა ყველას ერიდებოდა, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტები მათთანაც მოსდიოდათ.

3 თუ 4 ოქტომბერს სოხუმში ჩეჩნები და აფხაზები რაღაცის გამო სერიოზულად შეეჯახნენ ერთმანეთს და 5 ჩეჩენი დაიღუპა. ერთი მათ შორის, ეტყობა, კარგი ბიჭი იყო — მონღოლა ერქვა, და ამ ფაქტმა შეძრა ჩეჩნები, მაგრად იწყინეს.

წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ, თუ სადმე სუფრაზე მოვხვდებოდით, განსაკუთრებით აფხაზებთან, ეს ჩვენი მოკრივე გამოაცხადებდა: — Этот грузин мой брат! — და, მერე იმაზე უკეთ მე მემსახურებოდნენ.

იმ საღამოსაც გააფხაზებული მეგრელების ოჯახში ვიყავით სუფრაზე. ნამდვილად ასე იყო. იმიტომ, რომ მასპინძელი, რომელიც ხელოსანი იყო, წინა დღეს მანქანას უკეთებდა და როცა ჩაქუჩი შემთხვევით ხელში ჩაირტყა, თავისთვის მეგრულად შეიგინა.

იმ სუფრიდან ადრე წამოვედი, ვერიდებოდი მთვრალ საზოგადოებაში ყოფნას.

დაახლოებით ღამის სამ საათზე ხმაურით იღება ჩემი ოთახის კარი და კბილებამდე შეიარაღებული მოკრივე შემოდის.

გამიკვირდა: დაუკაკუნებლად არასოდეს შემოსულა ჩემთან. მეუბნება — გინდაო შენი ბიჭების სისხლი აიღო? მე მონღოლას სისხლის ასაღებად მივდივარო.

ავისხი იარაღი და...

და მოკრივესთან ერთად გენადი ფიცხელაურმა ისეთი „ოპერაცია" ჩაატარა იმ ღამეს, რომ დილით, მინისტრთა საბჭოს შენობის წინ (თავ-თავიანთ „ბირჟაზე" იკრიბებოდნენ აქ თურმე ჩეჩენი, კაზაკი, ოსი და სხვა ბოევიკები), ჩეჩნებმა აღტაცების ნიშნად ჰაერში რამდენჯერმე აისროლეს...

— ჩეჩნებს ჩვენზე, ქართველებზე „გართულება" არა ჰქონიათ, აფხაზებზე და სომხებზე კი — ნამდვილად. ყველა ჯურის ბოევიკთან ურთიერთობა ჰქონდათ, გარდა სომხებისა. ნაცნობობასაც ერიდებოდნენ.

ერთხელ ქუჩაში ზანგები დავინახე, შავები იყვნენ, უცხოური ტანსაცმლით და უცხოური იარაღით. 20-მდე კაცი იქნებოდა. გამიკვირდა, ამათ აქ რაღა უნდათ-მეთქი? ზანგებიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ? — ვკითხე მოკრივეს.

გაეცინა და მიპასუხა: — ესენი სირიელი სომხები არიან, თქვენი მეზობლების ნათესავებიო.

ერთხელ გუდაუთის შესასვლელში პიკეტთან ვიყავით გაჩერებული. ამ დროს აქ „ვოლგით" არძინბა მოვიდა. დიდის ამბით მიესალმა და მოიკითხა ეს ჩემი ჩეჩენი. მოკრივემ უთხრა: — Грузин со мной сидит. მე ავტომატით ვიჯექი მანქანაში. რომ დაბრუნდა, ვკითხე, ასე რომ ელაპარაკები ჩემზე, ეს საქმეს ხომ არ გაგირთულებს-მეთქი. არაო.

აი, მაშინ გავბედე და პირდაპირ ვუთხარი: არ გინდა, რომ ცნობილი კაცი გახდე? Давай его прихлопнем. არძინბა გავასალოთ-მეთქი.

— Не стоит, Гена, — მიპასუხა, — Все, кого ты здешь видишь (იქ კი ბევრი აფხაზი ირეოდა), все Ардзинбы. Был бы он Шеварднадзе, тогда другое дело...

27 სექტემბერს, დილით, ბატონი ედუარდი ჩვენთან ხომ მოვიდა მინისტრთა საბჭოში, ისინი თურმე ჩასაფრებულები ელოდნენ. იქ იმ დილით „ვოლგა" რომ შემოსულიყო, მთელი ძალებით შემოუტევდნენ...

— **შევარდნაძის დასატყვევებლად?**

— ასპროცენტიანია... 27 სექტემბერს, გუდაუთიდან რომ დავბრუნდით და გზაში ჩვენი ბიჭები დახვრეტილები რომ ვნახეთ, იმ დღეს ინგლისელ კორესპონდენტთან მიმიყვანეს, — აი, ქართველი ტყვეო.

— Шеварднадзе был сегодня здесь? — შემეკითხა.

— Да, был! — ვუპასუხე.

დაბნეულობა შევატყვე. ჩანს, წინასწარ დამუშავებული ჰყავდათ აფხაზებს, რომ შევარდნაძემ უპატრონოდ მიატოვა ქალაქი. ძალიან უნდოდა, აშკარად ჩანდა, მისი ეს ვერსია დამედასტურებინა. რომ ვერ გავუმართლე, სხვა კუთხიდან მომიარა:

— Когда вы узнали, что Шеварднадзе убежал? — დაჟინებით მკითხა.

— Только что узнал.

გაეხარდა და დაზუსტება მოინდომა:

— Кто вам сказал?

— Вы сказали-მეთქი.

არ ვიცი, სხვას რას მოელოდა ის მატრაბაზი (**გენამ სხვა სიტყვა იხმარა. — ა. ს.**) კორესპონდენტი ჩემგან, მაგრამ აშკარად ნაყიდი რომ იყო, შუბლზე ეწერა.

იმისი არ მიკვირს, ის კი ვერ გამიგია, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ამ ნაყიდი რეპორტიორივით რომ იქცევა...

მატრაბაზი (**გენამ ისევ სხვა სიტყვა იხმარა**) ჟურნალისტისთვის ხასიათი საბოლოოდ რომ გამეფუჭებინა, სულ წვრილად მოვუყევი, როგორ მოვიდა იმ დილით ბატონი ედუარდი ჩვენთან, როგორ წავიდა პოზიციებზე, როგორი უშიშარი კაცია...

* * *

ერთი თვის შემდეგ გენადი ფიცხელაური სათანადო საბუთებით აღჭურვილი ადლერში ჩაიყვანეს...

* * *

ჩემს დიქტოფონზე კიდევ ერთი პიროვნების ნაამბობია ჩაწერილი. ის გახლავთ ლონდერ ცაავა. ესე იგი, დასასრული იქნება.

არმაზ სანებლიძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №№ 52, 53, 54, 55, 67, 68.

სიყვარული [illegible]

კავკასიაში მშვიდობა უნდა დამკვიდრდეს!

ამქვეყნად მარადიული არაფერია — არც მტრობა, ნებისმიერ ომს მშვიდობა მოჰყვება. არ ღირს მტკიცება თუ რა უაზრობაა ომი, მით უფრო, რომ შეიძლება ოპონენტიც გამოგიჩნდეს. სამწუხაროდ, ძალადობისა და ნგრევის მომხრენიც არსებობენ, ყველაზე აქტიურებიც არიან. სიკეთე ჩუმია, პასიური, ასეთები არიან კეთილი ნების ადამიანებიც. მაგრამ, როცა უკვე საზღვარი აღარ აქვს ბოროტების თარეშს, როცა მათი ხელით მიწისაგან პირისა ილგვება ის, რაც წლობით შექმნილა, აქ უკვე კეთილი ნება აქტიურდება.

...რედაქციაში ახალგაზრდა კაცი გვეწვია — **კობა ჩაგელიშვილი** — ეთნოგრაფ-ეთნოლოგი.

უკვე 20 წელიწადია, რაც იგი კავკასიელი ხალხების ეთნიკურ ისტორიას შეისწავლის და, ბოლო წლების განმავლობაში, დაუღალავად იღვწის კავკასიელ ხალხებში ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისათვის:

— მე, როგორც ქართველს, არ შემიძლია შევეგუო როგორ იღვრება ათასობით ადამიანის სისხლი. კავკასიელებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, მილიონობით ფული გადავიხადეთ ომისათვის, იქნებ მშვიდობის დასამკვიდრებლად გავეღო სახსრები... მოვაწყოთ კავკასიელი ხალხების წარმომადგენლების — მეცნიერების, ინტელიგენციისა და ფართო საზოგადოებრიობის შეხვედრები და ფორუმები, იქნებ კეთილმა ნებამ ძალადობაზე გაიმარჯვოს.

მან თითქმის მთელი კავკასია მოიარა და რედაქციაში საკმაოდ საინტერესო მასალებით გვეწვია.

კავკასიის თითქმის ყველა კუთხის მეცნიერები, მწერლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები გამოხატავენ მზადყოფნას წვლილი შეიტანონ კავკასიის რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. აქ არის უამრავი ოფიციალური მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირის, კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების შესაბამისი უწყებებისგან. ამ დოკუმენტების სიმრავლის გამო ყველას გაცნობა მკითხველისთვის შეუძლებელია. გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმეს.

წერილის ადრესატია საქართველოს კულტურის სამინისტრო:

ჩრდილოეთ ოსეთის კულტურის სამინისტრო მხარს უჭერს ბატონ კობა ჩაგელიშვილის ინიციატივას გაიმართოს სამშვიდობო შეხვედრები საქართველოსა და ოსეთის ინტელიგენციას შორის და მზად არის იყოს ორგანიზატორი ასეთი აქციის ჩატარებისა ვლადიკავკაზში, ან სხვა ადგილას, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. სასურველია შეხვედრაში მონაწილეობდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესი, ზურაბ ქაფიანიძე, ოთარ კობერიძე.

პატივისცემით ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი [illegible] მაევი.

წერილის ადრესატია საქართველოს მწერალთა კავშირი:

ყაბარდოელი მწერლები დიდი გამოცოცხლებით შევხვდით კ. ლ. ჩაგელიშვილის წინადადებას ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრის თაობაზე, რეგიონში მშვიდობის დამყარების მიზნით და მზად ვართ შევხვდეთ ქართველ თანამოკალმეებს. შეხვედრის ადგილი ნალჩიკი, მხარეთა შეთანხმებით.

ყაბარდოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ზ. მ. ტხაზიტოვი.

ქვემოთ გამოქვეყნებული წერილის ადრესატებია კავკასიის რესპუბლიკების მწერალთა კავშირები:

პატივცემულო კოლეგებო და ბატონებო, საქართველოს მწერალთა კავშირი ავალებს ეთნოგრაფ-ეთნოლოგ კობა ჩაგელიშვილს წარმართოს მოსამზადებელი სამუშაოები საერთოკავკასიური ფორუმის გასამართავად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის ყველა ხალხის წარმომადგენლები, შერიგებისა და მშვიდობის დამყარების მიზნით, და ანიჭებს მას შუამავლის სტატუსს საქართველოს მწერალთა კავშირსა და კავკასიის რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს შორის.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — მწერალი გურამ ფანჯიკიძე.

წარმატებას ვუსურვებთ ბატონ კობას ამ კეთილ საქმეში. ღმერთმა ქნას და აღდგეს კეთილმეზობლური ურთიერთობანი კავკასიის რეგიონში და დამკვიდრდეს ყველასთვის ესოდენ ნანატრი მშვიდობა და სტაბილურობა.

ეკა ლექავა.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

ჩაწერილი ვარ სოფელში და ვირიცხები როგორც კომლი. გამომიყვეს 600 კვადრატული მეტრი სამოსახლო მიწის ნაკვეთი. ავაშენე საცხოვრებელი სახლი, ჩემი ეზო-ყური ეკვრის კოლმეურნეობის მიწას, რომელიც გაპიროვნებული აქვს ე. ჩაფიძეს. ჩემი სახლის სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყალი გადადის აღნიშნულ ნაკვეთში. ზოგჯერ ბავშვები ამ ფართობში ყრიან გამოუყენებელ საგნებს, რაც ჩვენს შორის უკმაყოფილებას იწვევს.

სად არ დავწერე, ვის არ მივმართე, მაგრამ საქმეს თავი ვერავინ მოაბა. იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ ერთ შეკითხვაზე: სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან თუ არა, რომ მიწის რეფორმის შედეგად წარმოშობილ დავაში ჩაერიონ და საკითხი კანონის შესაბამისად გადაწყვიტონ? მირჩიეთ, ვის მივაკითხო, რომ საკითხი ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდეს? — **ოთარ ბურჯანაძე, ზესტაფონი.**

— მოქმედი მიწის კოდექსის თანახმად, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული დავა საბოლოოდ განიხილება და წყდება სახალხო სასამართლოში.

— **ცაგერის** რაიონის სოფელ ზუბში მაქვს მემკვიდრეობით მიღებული სახლი (ჩაწერილი ვარ თბილისში). იგი ეკუთვნის აგრეთვე ჩემს ძმისშვილს, რომელიც გათხოვილია მარტვილის რაიონში, და ჩემს დისშვილს, რომელიც ცხოვრობს ქალაქ წყალტუბოში.

მიწის რეფორმის დაწყებამდე მემკვიდრეები ვფლობდით 3 000 კვადრატულ მეტრ სახნავ-სათესს (თვითეული 1000 კვადრატულ მეტრს). მე და ჩემს რძალს, ანუ ჩემი ძმისშვილის დედას, სოფლის მიწის გამანაწილებელმა კომისიამ გამოგვიყო თვითეულს 2500 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი, დისშვილს კი უარი უთხრეს. საქმე ის გახლავთ, რომ ყველაფერი დარჩა ქაღალდზე. დღემდე გვაქვს მიწის ფართობის ის რაოდენობა, რამდენიც რეფორმამდე გვქონდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ შორს წასვლაზე უარი განვაცხადეთ, რადგან ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთს უკანონოდ დაეპატრონა ყოფილი მეზობელი გივი ყურაშვილი, რომელიც თავისი ცოლშვილით ეშვილა სოფელ ზუბში მცხოვრებ უშვილო ბიძას კიკალიშვილს. ამასთან კიკალიშვილიც ცალკე კომლად დარჩა და ამ გზით ორი ნორმა მიწის ნაკვეთი მიიზომა. ამ უკანონობის გამო სოფლის [illegible], პიერ ფუტკარაძეს მივმართე. მან მიწის რეფორმის კომისიის სხდომაზე განაცხადა — ნახევარი ზუბი ორ-ორ კომლად არის გაფორმებული და მე რა ვქნა, რა გავაწყოო. ამის შემდეგ მივმართე ცაგერის რაიონის გამგებელს, მაგრამ უშედეგოდ... გთხოვთ მიპასუხოთ:

უნდა მომიზომოს თუ არა სოფელ ზუბის მიწის რეფორმის კომისიამ 2500 კვადრატული მეტრი სახნავ-სათესი?

იგივე უფლებით სარგებლობენ თუ არა ჩემი ძმისშვილი და დისშვილი, როგორითაც მე?

რამდენად კანონიერია, რომ სოფელ ზუბის თავკაცებმა კაცი მიაშვილეს უშვილო ბიძას, რომლებიც ფაქტობრივად ერთად ცხოვრობენ, მაგრამ ცალ-ცალკე კომლად დაწერეს, რომ ერთ ოჯახს ორი ნორმა მიწის ნაკვეთი მიეცეს? — **კარლო ჩაკვეტაძე, თბილისი.**

— რაკი თქვენ ქალაქში ცხოვრობთ, სოფლად მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოგეყოთ 0,25 ჰექტრამდე. სოფელ ზუბისათვის დადგენილი ნორმის მიხედვით. და, რა თქმა უნდა, მიწა უნდა მოგიზომონ ადგილზე, და უნდა შედგეს სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი.

იგივე პირობები ვრცელდება თქვენს დისშვილზე, რომელიც წყალტუბოში ცხოვრობს, ხოლო თქვენი ძმისშვილი, რომელიც გათხოვილია და ცხოვრობს მარტვილის რაიონში, მიწის ნაკვეთს მიიღებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სოფელ ზუბში კი, როგორც საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრეს, მიეცემა ეზოს ის ნაწილი, რაც საშუალებას მისცემს დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი კუთვნილი სახლის ნაწილით.

თქვენს მესამე შეკით[illegible] გიპასუხებთ: საქართ[illegible] [illegible]პუბლიკის მინისტრ[illegible] 1992 წლის 6 თებ[illegible] დადგენილების თ[illegible] ნაკვეთების გაცე[illegible] წლის პირველი ი[illegible] [illegible]ლკე აღრიცხული კო[illegible] ხედვით, ხოლო 1992 წლის [illegible] ველი იანვრის შემდგომ გაყ[illegible] ან სხვა მიზეზებით წარმოქმნილი ახალი კომლები დაკმაყოფილდებიან მიწის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა.

ცხადია, ერთი კომლისათვის მიწის ორი ნორმის მიცემა კანონის უხეში დარღვევაა და იგი უნდა გამოსწორდეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილებით მიწები ჯერ სოფლად მაცხოვრებლებზე ნაწილდება და შემდგომ ქალაქელებზე. ასე რომ, ამ ორ კატეგორიას შორის ერთი და იგივე ნაკვეთის მისაღებად წამოჭრილი დავის განხილვა და საკითხის გადაწყვეტა ამ პრინციპით უნდა მოხდეს.

სამართლებრივი რეფორმებისთვის

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი პირველ რიგში, ითვალისწინებს სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 დეკემბრის 216 განკარგულების საფუძველზე, შეიქმნა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები. კომისია დარგების მიხედვით დაყოფილია 9 ქვეკომისიად: კონსტიტუციური კანონმდებლობის — თავმჯდომარე პროფესორი **ი. ფუტკარაძე**, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის — თავმჯდომარე **თ. ლილუაშვილი**, ადმინისტრაციული კანონმდებლობის — თავმჯდომარე **ვ. ლორია**, სისხლის სამართლის კანონმდებლობის — თავმჯდომარე პროფესორი **გ. ტყეშელიაძე**, სამოქალაქო კანონმდებლობის — თავმჯდომარე აკადემიკოსი **ს. ჯორბენაძე**, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის — თავმჯდომარე პროფესორი **ა. ფალიაშვილი**, აგრარული კანონმდებლობის — თავმჯდომარე დოცენტი **ლ. ჭანტურია**, სამართლებრივი საქმიანობის ორგანიზაციის — თავმჯდომარე დოცენტი **გ. მეფარიშვილი**, პენიტენციალური კანონმდებლობის — თავმჯდომარე რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე **რ. გოლიჯაშვილი**. მუშაობა ქვეკომისიებში მთელი დატვირთვით მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ამას წინათ სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიას დადებითად გადაუწყვიტა დაფინანსების საკითხი — სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოუყო ფინანსური სახსრები, რითაც მისი მუშაობა დაჩქარდება და უფრო ნაყოფიერი გახდება.

გულიკო მარკოზაშვილი.

— თუ თქვენ უფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას;
— თუ თქვენ არც ისე მდიდარი ხართ, რომ შეიძინოთ იაფფასიანი და მდარე ხარისხის საქონელი;
— თუ იცნობთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ძუნწი ყოველთვის ორმაგად იხარჯება;
— მაშინ თქვენ ნამდვილად ჩვენი მომხმარებელი ბრძანდებით და

სავაჭრო სახლი „გულანი"

საბითუმო და მცირე საბითუმო პარტიებად გთავაზობთ:

უმაღლესი ხარისხის (ევროსტანდარტის და ფიტოსანიტარული სერთიფიკატის მქონე) რაფინირებულ ნამდვილ მზესუმზირის ზეთს „ოლინ"-ს 1 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში. ფასი ერთი ბოთლის 1,2 $-ის ექვივალენტი.
ფირმა „ფილიპსის" 60 ვატიან, 75 ვატიან და 100 ვატიან ნათურებს;
(„ფილიპსის" ნათურები ერევნის წარმოების ნათურებს რამდენად სჯობია, თვითონ დარწმუნდებით); ფასი ერთი ნათურის 0,4 $-ის ექვივალენტი;
ფირმა „დიფაჯის" კბილის ჯაგრისებს; ფასი ერთი ჯაგრისის 0,4 $-ის ექვივალენტი;
პირველად საქართველოში ფირმა „ნოვა"-ს ევროსტანდარტის ნამდვილ ტუალეტის ქაღალდს; ფასი ერთი რულონის 0,28 $-ის ექვივალენტი;
მანქანის გატაცების საწინააღმდეგო მექანიკურ ეფექტურ ჩამკეტ მოწყობილობას. ფასი ერთი საკეტის 18 $-ის ექვივალენტი;

ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი, დიდ საბითუმო პარტიაზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებაა..
ცნობებისათვის დარეკეთ 22-13-26, 98-92-66
ჩვენი მისამართია: მელიქიშვილის ქ. № 12 ბიზნეს-ცენტრი „საქართველო" (სასტუმრო „საქართველოს" შენობა) III სართული.

გახსოვდეთ, სავაჭრო სახლი „გულანი" მხოლოდ ხარისხიანი საქონლით ვაჭრობს!
ველით ნამდვილ მყიდველებს!

ალსდექ, საქართველო!

გორში გამოდის კარგი გაზეთი „ყაყაჩო",

რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება

...ცა კრიალებდეს სულ!

„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დიდა გაუხარებია".

ამ ჭეშმარიტებაზე გავიზარდეთ, ხოლო „ჭეშმარიტებიდან არავითარი სიცრუე არ არის".

იმ დროს, როცა ასე ძალიან უჭირს ქვეყანას, როცა სიძულვილის ჭრომის ჭრიალით, შხამის ღელეებში კივილით მოაბიჯებენ ცრუთაყვანისმცემლები, როცა ბევრი დამოუკიდებელი გაზეთი, დედის გინებითა და ნაირნაირი შეურაცხმყოფელი სიტყვებით პოპულარული გამხდარა, თბილისიდან სულ რაღაც 70 კილომეტრის დაშორებით, ქართლის შუაგულში, ჩვენს ლამაზ გორში, გამოდის ერთი პატარა, დამოუკიდებელი, დიახ, **დამოუკიდებელი გაზეთი „ყაყაჩო"**. გაკენწვლა და პირში თქმა „ყაყაჩომ" რომ იცის, ისეთი უნდა, მაგრამ „ყაყაჩოს" **დამოუკიდებლობა** და **თავისუფლება** მაინც მისსავე ზნეკეთილობაშია.

გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს ემსახურება ეს პატარა გაზეთი, დიდი იაკობ გოგებაშვილის გზა აურჩევია და ყაყაჩოსავით აბრიალებულ პაწაწინა ქართველებში თესავს სიყვარულს და ერთგულებას მამულის, მშობლების, დიდ-მამიშვილების, ნათესავ-მეგობრებისადმი...

თქვენ დამოუკიდებელი ეძახით და „ყაყაჩო" სიყვარულისა და ეთიკის მწვანე ღობით მაინც შემოურაგავს განგებას.

რა ზღაპრებსა და მოთხრობებს არ ნახავთ „ყაყაჩოში". ამ გაზეთში დაბეჭდილ ყველა სტრიქონს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა სიტყვას, წონა და ფასი აქვს.

ყურადსაღებია, „მოსწავლეთა შემოქმედება". ამ მთავარი სათაურით დაბეჭდილი ბავშვთა ლექსები და ჩანახატები, კროსვორდები, გამოცანები, ენისგასაწყობები, ნახატები იმედით გვავსებენ და მჯერა, რომ ამ ყმაწვილ ავტორთა შემხედვარე საქართველო არ მოკვდება, რომ ხვალინდელი დღე კვლავაც საქართველოსია.

ყმაწვილი ქართველი გოგონა, საქართველოს რომ ეტყვის — „შენი ძე ლომი ვარო", არ დაეცემა ის საქართველო.

ნუ მიწყინენ ამ გაზეთის ნორჩი ავტორები, ახლა იმის დრო არა მაქვს, ყველასათვის მოვიცალო. მართლა ნიჭიერი ავტორები ჰყავს გაზეთ „ყაყაჩოს", ისინი ბევრნი არიან. ახლა კი ერთ ლექსზე მინდა შევჩერდე, „საქართველო" ჰქვია ამ ლექსს და განსაკუთრებით იმ ერთმა სტრიქონმა მომხიბლა, იმ ერთმა გაბედულებამ და შემართებამ, რომელიც ყმაწვილი ბიჭისგანაც კი ძნელსადამთქმელია. ბიჭი ვერ იტყვის სამშობლოს „შენი ლომი ვარო"... ღმერთმა ხელი მოუმართოს ლომების საქართველოს!

ახლა, მინდა, „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველს გავაცნო „ყაყაჩოში" დაბეჭდილი ზეღდულელი მე-9 კლასელი გოგონას — დინა ნასყიდაშვილის ლექსი „საქართველო":

ყაყაჩო
დედა

**მე შენი მიწის ბარაქას ვეტრფი
ჩემი სიცოცხლის დღენი...
შენი ყველა ქვა,
და შენი ბილიკი —
ისტორიაა შენი.**
. . . .
**მე შენი ზვრების მიყვარს
ბარაქა,
შენი ლომი ვარ, ძე,
შენი მოყვარისა ვარ მე მოყვარე,
მტერი კი მტრულად მძულს.
სულ მწვანე ფერის გაცვას
პერანგი,
ცა კრიალებდეს სულ,
ვერა დააკლოს მტერმა ვერაგმა,
შენს გაუტეხავ სულს.**
. . . .
**იყო ამაყი, მშვიდი და ძლიერი, —
სხვა არაფერი მსურს,
სულ იდღეგრძელე,
იბედნიერე,
მუდამ, მარადჟამს, სულ!**

საქართველოს ბედნიერება, ჩვენი ყმაწვილების ხვალინდელ დღეში სახლობს... ჩვენს ყმაწვილებს დღეს პურიც აკლიათ და წიგნიც, გაზეთიც და ჟურნალიც... მაინც მოდის ახალგაზრდობა? ესე იგი, ცოცხლობს იმედი, იმედი საქართველოსი!

საქართველოს საქმიანო ადამიანებო, მამულიშვილებო, მიხედეთ გორში „ყაყაჩოს", მიხედეთ, მადლია!

„რასაცა გასცემ შენია", ხომ გაგიგონიათ?

„ყაყაჩომ" სულ უნდა იბრიალოს!

„ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია".

ჯანსუღ ჩარკვიანი.

განმანათლებელთა პედაგოგიკური იდეალი

ახალი წიგნი

ადამიანის ცხოვრებისათვის მოსამზადებლად მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰარმონიულ აღზრდას, ყმაწვილის ყოველმხრივ განვითარებას. ეს ბუნებრივია, რადგან სამყარო, მისი მრავალფეროვანი სიცოცხლე კოსმოსურ [illegible], ძალთა და იმპულსთა [illegible] შეწყობილ მოძრაობას წარმოადგენს. „ზეცა მწყობრთა [illegible]" შერწყმა-შეხმატკბილება. უზენაეს წესრიგთან შეთანხმება [illegible] მხოლოდ მრავალმხრივ განვითარებულ ადამიანს შეუძლია.

[illegible] გახლავთ კაცობრიობის აზროვნების მიღწევათა ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება. [illegible] ამ იდეასაც თავი[illegible] დასტური მისცა, როცა განაცხადა: „დედააზრი ელინელის [illegible] მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთნებოდეს [illegible] ყოველმხრივ: გონებით, [illegible], სულითა და [illegible] და არც ერთი ამათგანი არ [illegible] მეორეს".

ეს იდეა, როგორც ნაცარში შენახული მფურვალე ღველფი, საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობდა ქართველ ერში, ჩვენი მწერლების, მხატვრების, ხელოვნების დარგის მუშაკთა ნაღვაწში. ამ იდეის გამოსაკვეთად, მისი მეცნიერული დეფინიციისათვის ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში საკმაოდ გაისარჯნენ. ამ საქმიანობის ერთგვარ წარმატებულ გაგრძელებად გვესახება პედაგოგიკის წრეებში კარგად ცნობილი მკვლევარის, უკვე რამდენიმე წიგნის ავტორის **ვიქტორ ახათიანის** ახალი მონოგრაფია **„მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების პრობლემა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში"** (თბილისი, 1993).

არ შეიძლება ვთქვათ, თითქოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმანათლებელთა ცალკეული დებულებების შესახებ ადამიანის ჰარმონიული განვითარების ასპექტით დაკვირვებები არავის ეწარმოებინოს, ოღონდ ახალი გამოკვლევა გამოირჩევა სისრულით, სისავსით, ფაქტების მოწოდების სიუხვით, რაც მთავარია, პრობლემის ამომწურავი გაშუქებით, კანონთა და კანონზომიერებათა დადგენის წარმატებული მცდელობით. დიახ, ეს გახლავთ განმაზოგადებელი ნარკვევი, სადაც პრობლემის ირგვლივ თითქმის საბოლოო სიტყვაა ნათქვამი.

განსაკუთრებით ვჩქარობთ, მკითხველს ვაუწყოთ:

უკიდურესობა და ცალმხრივობა იქნება თუ ვიტყვით, კომუნისტური მმართველობის პირობებში აღნიშნული პრობლემის დამუშავებას ხელს არ უწყობდნენო. პირიქით, თამამად განვაცხადებთ: კომუნისტური მშენებლობის, აგრეთვე ახალი თაობის აღზრდის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ყოველთვის იყო მიჩნეული ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდის აღზრდა და ამ მხრივ გაცხოველებულ კვლევა-ძიებას კომუნისტური მთავრობა დიდად უწყობდა ხელს, ოღონდ ჰარმონიული აღზრდის ერთი უმთავრესი კომპონენტი — რელიგიური აღზრდა, სისტემიდან იყო გამორიცხული. ეს კი აღზრდის მთელი სისტემის უკუგდებელყოფას მოასწავებდა, რადგან, რაც უნდა სასიკეთოდ წარემართოთ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ასევე სათანადო მეცნიერული ძიება, რელიგიური გრძნობების გაუღვივებლად ეს საქმე იმთავითვე განწირულია. და აი, ვიქტორ ახათიანი თავის მონოგრაფიაში ჯეროვან ადგილს მიაკუთვნებს რელიგიურ აღზრდასაც. ამ მხრივ მას სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვს ახალი, ცინცხალი ფაქტები, მოვლენები, შეფასებანი, დაკვირვებები, მიგნებები და აღმოჩენებიც კი.

მონოგრაფიის ყველა ნაწილი ბევრ ახალსა და საგულისხმოს ეუბნება მეცნიერებას, უბრალო მკითხველს, ოღონდ ზემოაღნიშნული თვალთახედვით ერთობ საინტერესოა მესამე თავი, სადაც ღრმა, მკვიდრი საუბარია გაშლილი იმ [illegible] თუ მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების ძირითად კომპონენტებად რა წარმოუდგენიათ თერგდალეულებს. ეს კი გახლავთ: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური, შრომითი და რელიგიური აღზრდა.

ასევე დიდად საგულისხმოა მსჯელობა აღზრდის ამ კომპონენტთა განუყოფლობასა და ერთიანობაზე.

მონოგრაფიას ნათელ ზოლად გასდევს თანამედროვეობასთან დაკავშირებული იდეა: რაც დღეს ჭირი გვჭირს, ყველაფერი ეს იმის ბრალია, რომ წინა წლებში ვერ მოვახერხეთ ადამიანის ყოველმხრივი განვითარება. ვიწრო შესაძლებლობებით შემოფარგლულმა პიროვნებამ სახელმწიფოებრივი კრიზისის ჟამს ვეღარ გამოავლინა მრავალმხრივი პოტენციური შესაძლებლობანი და მასში ნეგატიურმა თვისებებმა იმძლავრეს.

ამ თვალსაზრისით წიგნში იმდენი დაკვირვება და საგულისხმო დებულება გვხვდება, იგი სადღეისოდ უაღრესად საჭირო, აქტუალურ ნაშრომად გვესახება.

ახლა საჭიროა ამ წიგნში დაუნჯებული მოსაზრებების პრაქტიკულად გამოყენება, ამ პედაგოგიკური სიმდიდრის სრულად ათვისება.

მურმან თავდიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სპორტი

მკლავჭიდი

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი „ოქროს დათვი", რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

მათგან ყველაზე ტიტულოვანმა — ზაურ ცხადაძემ ფინალამდე მიაღწია, სადაც დამარცხდა ლეგენდარულ ამერიკელ ჯონ რიჩარდ ბრზენკთან.

ჭადრაკი

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის 11 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: ნათია ჯანჯღავა — 9,5, მირანდა ხორავა — 9, ნატო ეძგვერაძე — 8 ქულა.

ფინიშამდე 4 ტური დარჩა.

კრიმინალური ქრონიკა

მკვლელს — დახვრეტა

ქუთაისის. მკვიდრი 25 წლის უმუშევარი მამუკა ჭიკაიძე თბილისში ცხოვრობდა ძმასთან, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო. მან გაიტაცა ძმის იარაღი და მოხალისედ წავიდა ქ. სენაკში დისლოცირებულ სამთავრობო ჯარში, მაგრამ ადგილზე ჩასვლისას სამხედრო ნაწილში არ გამოცხადებულა.

ერთ საღამოს ნასვამი ჭიკაიძე სენაკელ ნადარაიას სახლს მიუახლოვდა, სადაც მეზობლები შეკრებილიყვნენ და საუბრობდნენ. მათ შორის ნადარაიას სიძე ზვიად ბარამიძეც იყო. ჭიკაიძემ იარაღის მუქარით დაშლა მოსთხოვა მოქალაქეებს. დამნაშავე მათ ცემასა და უხამს გინებასაც არ მოერიდა და დაშინების მიზნით ჰაერშიც რამდენჯერმე გაისროლა.

შეკრებილებმა დაშლა დაიწყეს. ნადარაია მეგობრებთან და ზ. ბარამიძესთან ერთად ეზოში [illegible] გრამ ჭიკაიძე [illegible] დაშოშმინდა [illegible] ში შეუვა. ნადარაია [illegible] ლებთან ერთად [illegible] დამნაშავეს, [illegible] თავი დაენებებ[illegible], მაგრამ ამაოდ. ჭიკაიძემ [illegible] დაუმიზნა ზ. ბარამიძეს და სხვების თვალწინ [illegible] ზე მოკლა იგი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა საქმე მ. ჭიკაიძის ბრალდების გამო, დამნაშავედ ცნო იგი და განუსაზღვრა მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ყაჩაღთა ბანდა დაკავებულია

8 აპრილს, ყოველი ქართველისათვის ტკივილით მოსაგონარ დღეს, ხაშურის რაიონის დაბა სურამის მინის ტარის ქარხნის დასახლებაში მცხოვრებ მედეა გოგოლაძის ოჯახს თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული, ნიღბიანი ოთხი ბოროტმოქმედი. სახლში ამ დროს იმყოფებოდა დედა თავის არასრულწლოვან გოგონასთან ერთად. ყაჩაღებმა მოითხოვეს ფული და ძვირფასეულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გოგონას გაიტაცებდნენ...

— სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ყაჩაღთა ბანდა დაკავებულია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხაშურის პოლიციის უფროსის ვიცე-პოლკოვნიკმა რამაზ გიორგაძემ, — ნიღბების ჩამოხსნის შემდეგ ოთხივე ხაშურის მკვიდრი აღმოჩნდა: ყოფილი სამხედრო პოლიციელები დავით ქართველიშვილი, გიორგი ლაზაძე, მალხაზ ამბოკაძე და უმუშევარი, 20 წლის დავით გელაშვილი. ამოღებულია ავტომატური იარაღი და მედეა გოგოლაძის ბინიდან გატაცებული ფული, ტანსაცმელი. ამ დღეებში შევიპყარით ყაჩაღთა მეორე სამკაციანი ჯგუფი, რომლებმაც გაკოტრეს ხაშურის რკინიგზის სკოლის დარაჯი და გაიტაცეს კინოაპარატურა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

აღმოაჩინეს გადამალული პროდუქტები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, რუსთავის № 2 პოლიკლინიკის შენობის ერთ-ერთ ოთახში აღმოაჩინეს გადამალული 125 კილოგრამი ბავშვის საკვები — რძის ფხვნილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ქველმოქმედება

მადლი სიბრალულისა

თუ ადამიანური შეცოდების გრძნობა არ დაგიკარგავს, შეუძლებელია აუღელვებლად ჩაიარო თბილისის ქუჩები, გადასასვლელი გვირაბები, სადაც ჩვენი საცოდავი თანამემამულეები ხელგაწვდილი დგანან და მათხოვრობენ. ზოგიერთ მათგანს სირცხვილის გამო თავი კალთაში ჩაურგავს, ზოგიერთს კი დუხჭირმა ცხოვრებამ ეს გრძნობაც კი წაართვა, გაოგნებული და ღრმად ჩაფიქრებული სადღაც შორს მისჩერებია ერთ წერტილს, თითქოს იქიდან მოელისო შველას.. მხოლოდ ლუკმა პურია მისი საფიქრალი. ვინ იცის, კიდევ იმედგადაწურულ რამდენ უმწეო ადამიანს (მათ შორის ინვალიდებს, ავადმყოფებს, მოხუცებს) შიმშილისაგან ამოსდის სული და ფიზიკური უძლურობის გამო გარეთაც კი ვერ გამოდის. ზოგიერთს კი თავმოყვარეობა არ აძლევს ამის უფლებას.

აი, თუნდაც ერთი ასეთი შემთხვევა: ამას წინათ სახლში ზარის ხმაზე კარი გავაღე, ვხედავ, დგანან თავჩაღუნული ქალი და კაცი ხურჯინით ხელში — ლტოლვილები ვართ, თუ შეგიძლიათ დაგვეხმარეთ, — დარცხვენით წარმოთქვა ქალმა და სახე მომარიდა. დღესაც არ მშორდება აზრი: ოდესმე წარმოიდგენდნენ კი ისინი, აფხაზეთის ქართულ მიწაზე მშვიდად და ლაღად მცხოვრები ადამიანები, რომ ასე კარდაკარ სამათხოვროდ წოწიალი მოუწევდათ?

ქართველი კაცი ბუნებით გულმოწყალეა, არა მგონია დღეს საქართველოში ცხოვრობდეს ადამიანი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით დახმარების ხელი არ გაეწოდებინოს გაჭირვებულთათვის. ამჟამად, როცა ეკონომიური უძლურობის გამო სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას გადაწყვიტოს უმწვავესი სოციალური პრობლემები, უშველოს გაჭირვებულთ, თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს გარკვეული ტვირთი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ეკონომიკურად უფრო ღონიერია და თავისი გულმოწყალებით შეუძლია იხსნას მრავალთა სიცოცხლე.

ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.

და აი, წლეულს, აპრილ-მაისში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში, მოეწყობა ტრადიციული გულმოწყალების კვირეული, ეს უაღრესად სამადლო საქმეა, რომელიც ერთხელ კიდევ მოაგონებს ქართველ კაცს თავის მოვალეობას — გამოიჩინოს გულმოწყალება, დახმარება გაუწიოს ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად ღარიბ ნაწილს, თითოეული თანამემამულის გულში გააღვიძოს სიკეთე და გონიერება, სულგრძელობა და მიმტევებლობა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ამ უაღრესად კეთილ წამოწყებას აქტიურად გამოეხმაურება ყველა მამულიშვილი.

ყური დავუგდოთ დიდ ილიას, რომლის რჩევა-დარიგებანი ქართველი კაცისათვის უძვირფასესია. არ შეიძლება აუღელვებლად აღიქვა მისი სიტყვები, რომლებიც ეხება სიბრალულის, შეცოდების გრძნობას და ერთხელ კიდევ თაყვანისცემით არ განიწყო ჩვენი ერის ამ სულიერი მამის მიმართ.

„რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდან გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან?" — სვამს კითხვას ილია და თვითონვე უპასუხებს: **„მწამს და ვაღიარებ: ამისთანა მადლი — მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიბრალულისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყალებისას, დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება — უნამუსოდ ვერ მოიქცევი; თუ გებრალება — გიყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაც სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეინდობ. მადლი სიბრალულისა, დედაა ყველა სხვა მადლისა, ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ".**

ალაპარაკებს რა ღვთის მსახურს, რომელსაც ხალხის უანგარო სამსახური საკუთარი ცხოვრებისა და მოქმედების კანონად გაუხდია, იგივე ილია გვმოძღვრავს: **„როცა ჩემს ძმა ადამიანს პირს არიდებ, ვითამ ჰქრისტე ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სად განახეთ, რომ არ გიშველეთო. მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი თქვენგან არ განკითხული მე ვიყავიო!"**

ამ ზნეობრივი იდეალებით ცხოვრება ისე გვჭირდება დღეს, როგორც ჰაერი და წყალი. და აი, დადგა დრო, როცა ქართველ კაცს ეძლევა საშუალება თავის სულიერ მამასა და დიდ დამრიგებელს შეუსრულოს წადილი.

თუ ეხლა არა, აბა როდის?!

გრამიტონ კვარაცხელია.

სიკეთე სიკეთითვე დაგიბრუნდებათ

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში იმ დროს მივედი, ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თეიმურაზ თოფურია, მისი მოადგილე თამაზ ბერიძე და საქველმოქმედო სამსახურის უფროსი მერი ჭილაშვილი გულმოწყალების კვირეულისთვის მზადების საკითხს რომ განიხილავდნენ.

ეს მშვენიერი აქცია, რომელიც აღდგომისწინა დღეებში იმართება, წლეულს იგი 27 აპრილიდან იწყება, უკვე ტრადიციად იქცა და მას ბევრი სიკეთე მოაქვს სიღატაკეში ჩავარდნილი ადამიანებისთვის. მოგეხსენებათ, ამ უდიდესი გაჭირვების ჟამს რესპუბლიკის მასშტაბით, რამდენი პენსიონერი, ინვალიდი, მარტოხელა მოხუცი, თუ სტიქიური უბედურებითა და საომარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანი სიდუხჭირის ზღვარზეა მისული. მათთვის დახმარება სახელმწიფოს არსებითად არ შეუძლია. ამ შემთხვევაში მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გამგეობა ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებთან ერთად, ქალაქების, რაიონების გამგებლების, ბიზნესმენების მონაწილეობით გარკვეულ ორგანიზებას უწევენ იმას, რომ თითოეულმა დაწესებულებამ, საწარმომ დახმარება აღმოუჩინოს მათი კოლექტივის ყოფილ წევრებს, მათგან წასულ პენსიონერებს, გაამხნევონ ისინი მორალურად, გაიღონ მათთვის გარკვეული თანხა, ქმნან სიკეთე, რადგან ოდითგანვე ცნობილია: სიკეთე სიკეთითვე უბრუნდება ადამიანს.

ბატონმა თეიმურაზმა გაგვაცნო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 28 თებერვლის დადგენილება „საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის საქმიანობის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი თავისი არსებობის მანძილზე მოღვაწეობდა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებაში, მაგრამ მან ერთ-ერთმა პირველმა მაინც შეძლო ხელი შეეწყო მივიწყებული ქართული ტრადიციების აღორძინებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გულმოწყალების კეთილი პრინციპების კვლავ დამკვიდრებისთვის. ფონდმა თავისი მოღვაწეობის ოთხი წლის მანძილზე გარკვეული დადებითი მუშაობა გასწია გაჭირვებულ თანამემამულეთა დასახმარებლად.

იგი დაეხმარა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი კონფლიქტების მონაწილეებს და მიწისძვრით დაზარალებული საქართველოს რეგიონების მოსახლეობას, ხანდაზმულთა და ბავშვთა თითქმის ყველა პანსიონატს, აგრეთვე მრავალ სკოლა-ინტერნატს. ინვალიდთა სახლებს გაუწია როგორც ფულადი, ისე სხვა სახის დახმარება. ფონდმა მოსახლეობისაგან შემონაწირი 2900 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი გადასცა საქართველოს თავდაცვის ფონდს ახლადშექმნილ ქართულ საჯარისო ფორმირებებში ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად.

დადგენილებაში დადებითად არის შეფასებული ფონდის მოღვაწეობა და მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილება: საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — სამკურნალო-პროფილაქტიკური და საქველმოქმედო მიზნებისათვის თბილისში საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდს უნდა გადასცეს ერთი აფთიაქი. თბილისის მერიამ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს ჩვენს დედაქალაქში საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდისათვის შენობის გამოყოფის საკითხი ფონდის აპარატის განსათავსებლად და მოწყალების სახლის მოსაწყობად.

ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ მიიღონ ზომები, რომ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის რეგიონული განყოფილებები და მათი ხელშემწყობი კომისიები უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ სათანადო სამუშაო ფართობით, მათ შორის ჰუმანური დანიშნულების ტვირთების შესანახი სათავსებით.

კიდევ ბევრი სასიკეთო გადაწყვეტილება აქვს მიღებული საქართველოს მინისტრთა კაბინეტს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მუშაობის გასაუმჯობესებლად, ხოლო გულმოწყალების კვირეულის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ამ დღეებში მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რაც უდაოდ დაეხმარება ფონდს მაღალ დონეზე ჩაატაროს ეს კეთილშობილური აქცია.

ლარისა ხუბულური.

„ბორჯომი" ბოთლს და საცობს უკრაინიდან ელოდება

ბორჯომის № 2 ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ამჟამად სააქციო საზოგადოება „ბორჯომად" იწოდება, ახალ სამეურნეო წელს ამ დღეებში დაიწყებს.

როგორც „ბორჯომის" პრეზიდენტმა თამაზ კორტანიძემ თქვა, მთელი ზამთარი, ბუნებრივი გაზის უქონლობის გამო, ქარხანა გაჩერებული იყო, არც ბოთლი ჰქონდათ, არც ტექნოლოგიური ხაზების მარაგნაწილები, სხვა საჭირო მასალა. ისევ ძველი ეკონომიკური კავშირები გაიხსენეს და რუსეთსა და უკრაინას სთხოვეს დახმარება — მათგან უკვე შესყიდულია და ამჟამად გზაშია ბოთლი, საცობი, ქაღალდი და სხვ.

თუმცა გაზაფხულამდე ქარხნის 640-კაციანი კოლექტივი იძულებით შვებულებაში იყო, ადმინისტრაცია მაინც თითოეულ მუშაკს ყოველთვიურად 250 ათას კუპონს უხდიდა. ამ დღეებში მინერალური წყლის ჩამოსხმის სეზონი დაიწყება, ეკონომიკურად „ბორჯომიც" გაიმართება წელში და მისი ასობით აქციონერიც.

გურამ ვაშაკიძე.

„ოკრიბის" შეღავათები

ახლოვდება აღდგომის დღესასწაული. საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე უკვე იგრძნობა ხალხმრავლობა. ვისაც ოდნავ მაინც აქვს საშუალება, მშობლიური ადგილებისაკენ მიეშურება, რათა, ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის დღეს პატივი მიაგოს ახლობლების ხსოვნას, მოინახულოს მათი საფლავები.

სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ დიდუბეში მდებარე ავტოკოოპერატივი „ოკრიბა" (დირექტორი — ზურაბ ყვავაძე) უკვე კარგა ხანია შეღავათიან ფასებში ემსახურება დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მიმავალ მგზავრებს. — დღესასწაულის დღეებში ეს ფასები გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება,—ამბობს ზურაბ ყვავაძე, — აქვე მდებარე სახელმწიფო ავტოსადგურიდან მაგალითად, ზუგდიდამდე მგზავრობა 8000 მანეთი ღირს, ჩვენგან — 6000 მანეთი (შესაბამისად — კუპონი), სენაკამდე სახელმწიფო ავტოსადგურში 7000 მანეთი უნდა გადაიხადოს მგზავრმა, ჩვენთან — 5000, ქუთაისამდე ჩვენგან 2000 მანეთი ღირს, სახელმწიფო ავტოსადგურიდან — 4000 და ასე შემდეგ.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს ვინმეს ვექიშპებოდეთ, თუმცა, ჯანსაღი კონკურენცია, დიახაც უნდა არსებობდეს. საწვავის პრობლემა ოდნავ მაინც რომ შემსუბუქდებოდეს, ჩვენ ორჯერ მაინც შევამცირებთ ბილეთის ღირებულებას.

წერილი ჯავახეთიდან

რედაქციამ მიიღო საქართველოს დუხობორთა თემის თავმჯდომარის ლიუბოვ გონჩაროვას წერილი, რომლითაც იგი მადლობას უხდის რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს.

ჩვენ, — აღნიშნულია წერილში, — მივიღეთ საწვავი, რათა დაგვემუშავებინა მინდვრები, უდანაკარგოდ აგვეღო მოსავალი. ეს კი საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ დუხობორების თემის მეურნეობა, ამასთანავე ინდივიდუალური მეურნეობები რუსი ხალხისა, რომელიც მაღალმთიან ჯავახეთში ცხოვრობს.

ისინი აღნიშნავენ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ეს დახმარება მორალური თვალსაზრისითაც — სამშობლოს გარეთ მცხოვრები რუსების რწმენა კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან ისინი არ არიან დავიწყებული თანამემამულეებისგან.

მედელანა: ბევრი შვილი საქართველოს

ოჯახის სიძლიერე

„მედელანა" თბილისის მეშვიდე ქალთა კონსულტაციასთან არსებულ ფირმას ჰქვია. როგორც ამ კონსულტაციის მთავარმა ექიმმა ლევან მამალაძემ გვითხრა, ეს არის შეერთება ორი სახელისა — მკურნალობის ქალღმერთ მედეასი და კონსულტაციაში შექმნილ საზოგადოება „ლანასი", რომელიც უშვილობის პრობლემებზე მუშაობს.

„გადავწყვიტეთ სწორედ მედელანა დაგვერქმია ჩვენი ახალი რუბრიკისათვის, რომელსაც დღეიდან იწყებს გაზეთი.

მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მოზარდი თაობისათვის იმ ცოდნის მიცემას, რისი ცოდნაც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ახალგაზრდობისათვის სავალდებულოა. უპირველესად კი წყვილთა განსწავლას ქორწინებამდე, შვილოსნობამდე. როგორ მოხერხდეს ჩვენს მდრტვინავ ქვეყანაში უფაქიზესი სიმების მინდობილი [illegible], პიროვნებაში [illegible] არსებული ენერგიის ნორმირებული პულსაციის შედეგად ცხოვრების სირთულეებით აღსავსე უზუმარი ლაბირინთებისა და რეალურის დაძლევა. არსებობს კი იმის საშუალება, რომ თავიდან აიცილონ ახალშეუღლებულებმა ერთობლივი ცხოვრების პირველ ეტაპზე ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც მათ ხანგრძლივ ცხოვრებას დაასვამს დაღს.

დიახ, საუბარია შვილოსნობაზე, პირმშოზე, რომელმაც უნდა გააერთიანოს და შეკრას ოჯახი.

რაკი ბატონმა ლევან მამალაძემ რუბრიკა შემოგვთავაზა, ცხადია, იმის უფლებაც დაიტოვა, რომ სწორედ მისთვის ჩამოგვერთმევა პირველი ინტერვიუ:

— მოსახლეობის აღწარმოება, კაცობრიობის ეს უძველესი პრობლემა, ერთ-ერთი უპირველესია პრობლემათა შორის. მას სამედიცინოს გარდა ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორიც განაპირობებს. ამიტომ არ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია, მის გადაწყვეტას თავისებურად რომ არ ცდილობდეს. კაცობრიობის განვითარების ისტორიის მიხედვით დედამიწის მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის ტემპი ერთნაირად ვერ აკმაყოფილებდა ყველა ეპოქას. იგი უზარმაზარ კონტრასტებს ქმნიდა: აღმოჩნდა, რომ ისეთივე რაოდენობრივ გაორმაგებას, როგორსაც მსოფლიო მოსახლეობამ საკმაოდ ვრცელი პერიოდი 15 საუკუნე მოანდომა, შემდგომ საუკუნეებში მხოლოდ 300 წელიწადი ამყოფინეს ადამიანებმა. ასე დადგა XVIII საუკუნე, ახალი საწარმოო ურთიერთობებისა და მანქანური შრომის დამკვიდრების ეპოქა. კვლავ კონტრასტები ერთის მხრივ, მოსახლეობის მთლიანი მატების ტემპის მკვეთრი დაჩქარებითა და მეორეს მხრივ, სხვადასხვა რეგიონში მიცემული პროცესის განსხვავებული ტემპის განვითარებით.

როგორ იცვლებოდა დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში? ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული ცნობების მიხედვით ფეოდალური საქართველო იმჟამინდელი დემოგრაფიული ვითარების შეფარდებით იშვიათ მაგალითს წარმოადგენდა. გავიხსენოთ საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა პერიოდის აღწერები დავით აღმაშენებლის, ერეკლე პირველისა და ვახტანგ მეექვსის დროინდელი. სახელმწიფო დაბეგვრისა და ჯარის რაოდენობრივი ზრდის თვალსაზრისით მათი მიზნები ადვილი ასახსნელია. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციაზე. ამ მხრივ გარკვეული ხარვეზები იქმნება XII-XIII საუკუნეებში, რის ირგვლივ მხოლოდ ჰიპოთეზებით შეიძლება მსჯელობა. მათი მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა ამ დროისათვის 4 მილიონ ადამიანს შეადგენდა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი მკვეთრად დაქვეითდა და XVIII საუკუნის ბოლოსათვის 750-770 ათასს გაუთანაბრდა. XIX საუკუნე კი საქართველოში მოსახლეობის რაოდენობრივი მატების დასაწყისია, რაც ყოველწლიურად შეადგენდა 1,1 პროცენტს. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოში 1913 წლისათვის 2601 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1984 წლისათვის მან 5167 ათასს მიაღწია. ამავდროულად, შეინიშნება მატების ტემპის მკვეთრად შემცირება. ბოლო პერიოდში ამ საკითხის შესწავლას ჩვენში მრავალი გამოკვლევები მიეძღვნა, რამაც ნაწილობრივ მეცნიერულად დაასაბუთა სამედიცინო ფაქტორები, მათი მნიშვნელოვანი როლი დემოგრაფიული სიტუაციის რეგულირებაში (ვგულისხმობ სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების გაფართოებას, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარებით მშრომელთა მაქსიმალურ უზრუნველყოფას, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას). თითოეული მათგანის გადაწყვეტა მიგვაახლოვებს რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას. ნაწილობრივ მაინც მოხსნის იმ სამართლიან პრეტენზიებს, რომლებსაც დღეს სამედიცინო სამსახურს უყენებენ.

სამედიცინო მეცნიერება მუდამ წინ უნდა უსწრებდეს პრაქტიკოსთა საქმიანობას, ეფექტურად იყენებდეს პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკისა და სხვადასხვა პათოლოგიების მკურნალობის უახლეს ეფექტურ მეთოდებს. რა დასამალია მისი ცოცხალი კავშირი პრაქტიკასთან დღესაც ოცნებად რჩება. მით უმეტეს ახლა, როცა მედიცინა უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა. არ არის სახსრები, მედიკამენტები, შესახვევი მასალა, სადიაგნოსტიკო დანადგარები, უცხოეთთან კავშირები. რამდენსაც უნდა ეცადოს სამინისტრო თუ სადაზღვევო და ფასიან მედიცინაზე გადასვლა არ განხორციელდა, არ გამოჩნდნენ სპონსორები, მარტო ექიმები ვერ შეძლებენ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

ჩვენს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს პირველი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართებით თბილისში და თუ წარმატებას მივაღწიეთ, საქართველოში გავაუმჯობესებთ შობადობისა და აღწარმოების კოეფიციენტს. საქმე ის არის, რომ ჩვენი კოლექტივი დიდი ხანია მუშაობს უშვილო წყვილებთან, რაც უდიდესი ტრავმაა მათთვის. ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით სწორად წარმართული მუშაობა საშუალებას იძლევა სახელმწიფოს წელიწადში 6-7 ათასი ბავშვი შევმატოთ. დღეისათვის შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ პირობებსა და კატასტროფებში ჩვენი არჩეული გზა გადარჩენის ერთ-ერთ ხერხად მივიჩნიეთ. და თუ არსებულ კრიზისს დროულად არ მივხედეთ, უახლოეს ათწლეულში საქართველო შობადობის მხრივ უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდება. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის სამინისტროს დიდი სურვილის მიუხედავად ძალა არ შესწევს ყველაფერი თვითონ იკისროს და ეს უმძიმესი პრობლემა გადაჭრას. მას მხარში საზოგადოებრიობა უნდა ამოუდგეს. სავალდებულოდ მიმაჩნია შეიქმნას სადაზღვევო კომპანია, რომელიც ბავშვის გაჩენის სტიმულს მისცემს ახალდაქორწინებულებს, ასევე, დააზღვევს მას იმ დიდი ხარჯებიდან, უშვილობაზე მკურნალობას რომ სჭირდება, თვითონვე იკისრებს მშობიარობის მატერიალურ უზრუნველყოფასაც და ბავშვზე ყველანაირ ყურადღებას 5 წლის შესრულებამდე. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს სავალდებულო, უცილობელი თანადგომა, რომ ახლადშექმნილი ოჯახის უშვილობისაგან დაზღვევა სავალდებულო გახადოს.

... შეუძლებელია ახალშექმნილმა ოჯახმა არ იოცნებოს პატარაზე, მაგრამ არასწორად დაყენებულმა სექსუალური აღზრდის პრინციპებმა და საოჯახო საკითხებში საგანმანათლებლო მუშაობამ დაგვაკარგვინოს დროის ის აუცილებელი მარცვალი, რომელიც ამ საკითხებში ხელშემშლელ ფაქტორებს გამოავლენს. ქორწინებისათვის მოუმზადებელ გოგონასა და ვაჟს ბევრი ხიფათი ხვდებათ, ექიმთან გვიან მიდიან და უშვილობის მკურნალობაც მძიმდება, ამასთან ერთად, ძვირდება. დღეისათვის თითოეული წყვილის მკურნალობა დაახლოებით 300 ათასი რუსული მანეთი ჯდება, ზოგ შემთხვევაში უშედეგოდაც. არადა, რამდენ გართულებას ავუვლიდით გვერდს დროული ჩარევით. ჩვენი სადაზღვევო კომპანია მომავალ მშობლებს აუწყებენ ხელისმოწერამდე შეუძლიათ თუ არა იყოლიონ შვილები, ზოგ შემთხვევაში ხომ არ არის მიზანშეწონილი საერთოდ შვილის ყოლა მძიმე მემკვიდრეობითი დაავადებებით გამოწვეული. დროული გამოკვლევა კი საშუალებას მოგვცემს თავიდანვე დავიწყოთ უშვილობისაგან მკურნალობა პრაქტიკულად უფასოდ, მინიმალური დაზღვევის ხარჯზე, რომელიც უარყოფითი შედეგის შემთხვევაში მათ დაუბრუნდებათ.

— ბატონო ლევან, როგორ აპირებს თქვენი საკმაოდ პოპულარული კოლექტივი თბილისში მიაღწიოს სასურველ შედეგს?

— უპირველესად: სწორად წარიმართოს ახალშეუღლებულების ინტელექტის ჩამოყალიბება, რომელიც ათეული წლებით მოქმედებს მსოფლიოში; შეიქმნას მატერიალური ბაზა ოჯახის ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით; ახალ შეუღლებულებს ქორწინებამდე ეცნობოთ მიზანშეწონილია თუ არა იყოლიონ შვილი; აუცილებელი გახდეს ახლად შექმნილი ოჯახის დაზღვევა უშვილობისაგან. ჩვენი მიზნები და პერსპექტივები ხელისუფლებისათვის ცნობილია. ის ამაზე უკვე მუშაობს და კონკრეტულ ნაბიჯებსაც გადადგამს. ეს მინიმალური თანხები, რისი მეშვეობითაც კომპანია შეიძენს მედიკამენტების აუცილებელ მარაგს, რომელიც მოხმარდება არა მარტო უშვილო წყვილთა მკურნალობას, არამედ მარტოხელა დედებს, მოხუცებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, ლტოლვილებს. როგორც ხედავთ, ჩვენი ორგანიზაცია ნაწილობრივ საქველმოქმედოც იქნება.

— ბატონო ლევან, რაც უნდა იყოს, სადაზღვევო თანხის გადახდა ოჯახს დღევანდელ პირობებში მაინც გაუჭირდება.

— რატომ? განა შეიძლება მშობლებმა ამაზე კარგი საჩუქარი მიართვან შვილებს ქორწინების დღეს, მით უმეტეს, თუ მათ მომავალი შვილიშვილის ჯანმრთელობა აინტერესებთ და აშინებთ ახალშექმნილი ოჯახის დანგრევა? ჩვენ მარტო დაზღვევას ხომ არ ვემსახურებით, ვიკვლევთ, საჭიროების შემთხვევაში ვმკურნალობთ და ფსიქოლოგიურად ვამზადებთ წყვილებს მთელი ცხოვრებისათვის. მიმაჩნია, რომ მომავალ ბებიასა და ბაბუას სურვილი გაუჩნდებათ ერთმანეთს გაეჯიბრონ ასეთი საჭირო საჩუქრისათვის შვილების ქორწინებისას.

ესაუბრა

ია კალანდარიშვილი.

ხსოვნა

მზია აბრამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთა მოღვაწეობაც ყოველგვარი ხმაურისა და ზეიმურობის გარეშე მიმდინარეობს, მოკრძალებით, ჩუმად, დიდი პასუხისმგებლობით, მოწიწებით ემსახურებიან საყვარელ საქმეს და მათ გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების წინსვლა-განვითარება.

უნიჭიერესმა პედაგოგმა და ჩინებულმა მუსიკოსმა მზია აბრამიშვილმა მთელი სიცოცხლე ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას შეალია, 30 წელიწადი უცვლელად იმუშავა თბილისის შალვა ასლანიშვილის სახელობის მე-5 სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად. თავისი მოსწავლეების წარმატებით ცხოვრობდა და ხარობდა. სკოლას გადაგებულმა საკუთარი ოჯახის შექმნისთვისაც ვერ მოიცალა. სიკეთის, სათნოების, მეგობრობის, კეთილშობილების, მოყვასისადმი ზრუნვისა და მარადჟამს სიახლის ძიების სიმბოლო იყო. ამიტომაც საოცრად დასწყვიტა გული მისმა მოულოდნელმა და უდროო წასვლამ მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, აღზრდილებს, დედაქალაქის მუსიკალურ საზოგადოებრიობას, რომლის ღირსეული წევრიც იგი იყო.

თბილისის შალვა ასლანიშვილის სახელობის მე-5 სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

შენს ქალობას დალოცავენ!..

თითქოს სიზმარია, თითქოს დაუჯერებელია — იყო სიცოცხლით სავსე ბიძაშვილი — ჩვენი რადონიცა (ნანა) ძნელაძე, და უცებ ყველაფერი დამთავრდა, მოგონებებიღა შემოგვრჩა მშვენიერ ოჯახის დედაზე, ქმარშვილს გადაგებულ კეთილშობილ ქალზე...

რა არ იღონეს და მაინც ვერ უშველეს ექიმების საბედისწერო შეცდომას ვერც შენმა მეუღლემ რეზომ და ვერც მაზლმა დემურმა... ქვეყანა შეძრეს, შველით კი ვერაფერი გიშველეს!

ვიგონებ, ჩემო დაიკო, შენს ბავშვობას, შრომაში რომ გაატარე, შენი სტუდენტობის წლებს! რა ხალისიანი იყო ის დღეები თბილისში, რა თბილი... მერე გათხოვდი, ჩხაიძეების რძალი გახდი, მშვენიერი ოჯახი გქონდა, შენი კარგი ქალობა აქაც გამოჩნდა... მიხაროდა ბათუმში ჩამოსვლა, იმ ოჯახში სტუმრობა, შენ რომ გაათბე დიდი სიყვარულით. შენი კეთილსინდისიერი საქმიანობა იყო შენი ცხოვრების მეგზური.

...და, ასე უდროოდ დამთავრდა შენი ხანმოკლე ცხოვრება...

იძინე, ჩვენო რადონიცა... შენ იმდენი სიკეთე დატოვე ამ ქვეყანაზე, რომ მრავალ წელს გაგვყვება ჩვენ — შენს ახლობლებს... შენი კარგი ქალობა გზას გაუნათებს შენს მომავალს — ქეთინოს და თამუნას.

ვალერი ძნელაძე.

ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყება გია გულუას, ზურაბ კვიციანაძის, ემზარ ბახტაძის დაღუპვას და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს, თანამებრძოლებს და ახლობლებს.

ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პიროვნების, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალის, გენერალ-მაიორ გია გულუას გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამასთანავე, შეძრწუნებული მომხდარი ფაქტის გამო, უშიშროების სამსახური აცხადებს, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა უმოკლეს ვადაში გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავენი, მკვლელობის ორგანიზატორები და შემსრულებელნი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური.

საგარეჯოში იყიდება ორსართულიანი სახლი, 1200 კვ. მეტრი ბაღით. შენობაში შეყვანილია ბუნებრივი აირი, ეზოში მოდის წყალი.

მსურველებმა დარეკეთ 37-25-54, 12 საათის მერე.

თბილისის საავიაციო სახელმწიფო გაერთიანების არასტანდარტული მოწყობილობის მცირე საწარმო

გთავაზობთ:

ლითონის შიფერის დასამზადებელ გოფრ-მანქანას;
ლითონის ბადის საქსოვ ჩარხს;
ვაშლისა და მსხლის საჭრელ მანქანას;
ხის დასამუშავებელ ჩარხებს: შალაშინი, საფრეზი, სატეხი, ბეწვა ხერხი, სახეხი, ხერხი სახარატო.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ:

☎ 71-72-69, 71-66-43.

გთავაზობთ

უნაღდო ანგარიშსწორებით საწერ და საბეჭდ ქაღალდს (ფორმატი A8) ადგილზე მიწოდებით.

ტელ: 38-91-64

განცხადება

საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" იუწყება, რომ 1994 წლის 30 მარტიდან შეწყვეტილია შემდეგი სამმართველოების ფუნქციონირება.

1. № 19 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.
2. № 22 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და კერძო პირებს შეუძლიათ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე.

ქ. თბილისი, გაგარინის ქ. № 29-ა
ტელეფონი: 37-64-06, 37-66-03, 37-62-39

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

სალიკვიდაციო კომისია

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.